სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 15 ივლისი 2004 №161 (2182) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი პამპერსი ჩვენგან

თბილისი — შამქირი

ახალგაზრდა მწვრთნელის და ჯაღარა მეკარის ევროდებიუტი

ფეხბურთში სიხარულისგანაც კვდებიან

ბატე — დინამო

ბელარუსებს თბილისში ჩამოსვლა ეშინიათ

ბატეს თავი ასტკივებია — ჩვენი მეტოქე სერიოზულად დაფიქრებულა, საქართველოში საომარი სიტუაციაა და თბილისში ჩასვლა სახიფათოაო. კლუბის პრეზიდენტმა უსაფრთხოების გარანტიებიც კი მოითხოვა.

კულტურული სხვაობა გოლებით ისჯება

ტორსჰავნი ვიტ ჯორჯიასგან და სიცხისგან დაიხუთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
I საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

თბილისი. 14 ივლისი. 18 საათი. ერუვნული. 5 000 (ტევადობა 70 900)

ვიტ ჯორჯია 5:0 ტორსჰავნი

1:0 გოჩაშვილი (20), 2:0 მარცვალაძე (32), 3:0 დიღმელაშვილი (43), 4:0 ინწკირველი (47), 5:0 ებანოიძე (57)

ვიტ ჯორჯია:	ტორსჰავნი:
მამარდაშვილი, ჯ. დათუნაიშვილი, თ. კობიაშვილი, ინწკირველი, იმედაშვილი, გველესიანი, ლ. ნოზაძე (ლ. კვარაცხელია 46), დიღმელაშვილი, ე. მერებაშვილი (ებანოიძე 46), ვ. გოჩაშვილი (კუპრეიშვილი 69), მარცვალაძე	რასმუსენი, ე. იონსენი, კ. ნოლსე, ბორგი, ფერნანდესი, ლეივსონი (ჯეფერსენი 46), ნილსენი, ელიასენი, დანიელსენი (ტორსტეინსენი 45), მორიენისი, ლაკიუნი (კ. იონსენი 76)
სათადარიგონი: ბედიაშვილი; კვახაძე, მალიჩავა, დ. ლომაია	სათადარიგონი: იენსენი; ჯ. ნოლსე, დ. იონსენი
მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი	მწვრთნელი: ჰეიენ ფერნანდესი

გაფრთხილება: ებანოიძე (47), კვარაცხელია (54), ლაკიუნი (56), ფერნანდესი (63), მამარდაშვილი (63)

მსაჯები: კ. თეოდოტუ; ს. კროკოპიუ, ნ. პლატისი; ნ. სავა (ყველა კვიპროსი)

ოთარ მარცვალაძემ ფარერელებს არც გოლი დაჟლო, არც საგოლე პასები

მერაბ დიღმელაშვილის ფოტო



მერაბ კოჭლაშვილი

დავით თავართქილაძე

მატჩის წინა დღეს ეროვნულ სტადიონზე ტორსჰავნის „ჰაფნარის“ ვარჯიში და მათივე ფიშიფიში იყო, რაზეც გუშინ, ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ტორსჰავნელთა დანიელმა მოთამაშე-მწვრთნელმა ჰეიენ ფერნანდესმა თქვა, შეცდომა მოგვივიდა და ეს ჩვენსა და თქვენს შორის კულტურული განსხვავების ბრალიაო.

სტადიონზე შარდვა იქით იყოს და, ფარერელებმა გუშინ მინდორზე კინკლაობით და პროვოკაციებითაც გამოიდეს თავი — ყვითელი ბარათების უმეტესობა სწორედ ამის გამო აფრიალა მატჩის არბიტრმა კოსტიას თეოდოტუმ.

შეხვედრის ანგარიში ლოგიკური გამოდგა. საქართველოს ჩემპიონს მეტიც შეეძლო, მაგრამ წინ საპასუხო მატჩი და მომდევნო ეტაპია — ფეხბურთელებს და მათ ფეხებს გაფრთხილება უნდა.

„ჰაფნართან“ და მის დარ გუნდებთან თამაში კი უსარგებლო არ უნდა იყოს — საევროტურნირო გამოცდილება ნებისმიერი ქართული გუნდისთვის ფასეულია.

გუშინ ოთარ მარცვალაძის დაბადების დღე იყო და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელება მისთვის ალბათ ძალიან კარგი საჩუქარი იქნებოდა — ვიტელთა გარემარბმა პირველ ტაიმში რეტი დასხა ფარერელთა დაცვას და გოლებიც მარცვალაძის გარჯას მოჰყვა.

პირველ წუთებში „ვიტ ჯორჯია“ დაძაბული ჩანდა, მღელვარების მოხსნას 5-7 წუთი დასჭირდა და როცა დავით დიღმელაშვილმა ოცდადე მეტრიდან ძლიერი დარტყმით მიზანს ოდნავ ააცილა, თამაში უფრო გაიხსნა. საგოლე შანსი კი პირველად „ჰაფნარმა“ გაანიავა — ვიტელთა საჯარიმოში შეჭრილმა ფერნანდესმა დავით მამარდაშვილის კარს ვერ დაუმიზნა.

ამან ძალიან გაახელა ვიტელები და მწვავე შეტევათა ჯერი მიუშვეს „ჰაფნარს“. ერეკლე მერებაშვილი პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ მასთან მიახლოებას დარტყმა არჩია და ბურთი მაღლა აეჭრა. შემდეგ დიღმელაშვილის პასით მარცვალაძე მარჯვენა მახვილი კუთხიდან გაიჭრა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ ბურთი მეკარეს შეაწყვიტა.

„ვიტ ჯორჯიამ“ ვარჯიშებზე მომზადებული კუთხურები კარგად გაითამაშა, თუმც პირველი გოლი მაინც ყოვნდებოდა. მასპინძლებმა სისწრაფეს მოუმატეს, ბურთი ფლანგიდან ფლანგზე მკვირცხლად გადაჰქონდათ და ფარერელთა დაცვაც სულ უფრო და უფრო ირყეოდა.

პირველი გოლი ასე გავიდა — მარცვალაძემ სისწრაფისა და დრიბლინგის ხარჯზე სტუმართა დაცვა მარჯვნიდან დააწიოკა, ბურთი შორეულ ძელთან გაგზავნა და ვლადიმერ გოჩაშვილმაც თავურით შეაგდო — გოჩაშვილი გუშინ ელოდა შვილის დაბადებას და 1994 წლის მუნდიალზე ბებეტო-რომარიოს ჟესტი თანაგუნდელებთან ერთად წარმოუდგინა გულშემატკივრებს.

გოლმა ვიტელებს ფრთები შეასხა, მეტოქეს მარწუხები კიდევ უფრო მაგრად შემოუჭირეს და კიდევ ორი ბურთი მიართვეს ფარერელებს. იმედაშვილის გრძელი, დიაგონალური პასი შურდულივით წინ გაჭრილმა მარცვალაძემ მოიგდო და უნაკლოდაც დაარტყა — 2:0.

თუმც დარტყმა დიღმელაშვილის იყო თუ იყო — ნაკუთხურალი ბურთი „ჰაფნარის“ საჯარიმოდან გადმოვარდა და დიღმელაშვილის დაქუხებული ცხრიანში აფართხალდა.

შესვენების შემდეგ მერებაშვილის გარდა მერაბ კოჭლაშვილმა ლაშა ნოზაძეც შეცვალა — ვიტელთა კაპიტანი დაშავდა. თამაში განახლდა თუ არა, მარცვალაძემ მეორე საგოლე გადაცემაც მიითვალა — მისი კუთხურით ალექსანდრე ინწკირველმა იხეირა — ააუღებელი თავური დაარტყა.

და ირაკლი ებანოიძე, ვიტელთა ახმახი ცენტრფორვარდი, ვინც ისეთი სისწრაფე აკრიფა, რომ „ჰაფნარის“ ერთ-ერთ მცველსა და კარიდან გამოსულ მეკარეს დაასწრო და 18-20 მეტრიდან ცარიელ კარში გადაგზავნა ბურთი.

„ვიტ ჯორჯია“ აქ გაჩერდა, ჯანი დაზოგა და მეექვსე ბურთისთვის საკუთარი თავი აღარ გაიმეტა. ფარერელებს კი გოლის გატანა ეწადათ და ერთი სახიფათო იერიშიც გაახერხეს, თუმც მას ნაღდ საგოლე მომენტს ვერ დავარქმევდით.

მეორე ტაიმის შუაწელიდან თამაში მოსაწყენი გახდა, ნამატჩევს კი „ჰაფნარი“ წყალს დაეძგერა, ერთ-ერთი ფარერელი სულაც სარბენ ბილიკზე გაწვა და წყლით გრილდებოდა. ერთ კვირაში საპასუხო მატჩია, მაგრამ საქართველოს ჩემპიონი უკვე კრაკოვური „ვისლასთვის“ ემზადება...

ჰეიენ ფერნანდესი, „ტორსჰავნის“ მწვრთნელი: ძალიან კარგ გუნდს ვეთამაშებით. ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით, მეტოქემ ალბათ იცოდა ჩვენი სისუსტეები. ცხელოდა და ჩვენ ასეთ ამინდს შეჩვეულნი არ ვართ.

მერაბ კოჭლაშვილი, „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი: ჩვენი ფეხბურთელები მატჩის წინ ძალიან ნერვიულობდნენ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვიტ ჯორჯია“ ხომ პირველად თამაშობს. მატჩის წინა დღეს მომხდარი ინციდენტის გამო გაზეთები აჭრელებული იყო და ჩვენს ფეხბურთელებს ძალიან უნდოდათ მოგება — მეტოქე გოლების გატანით უნდა დაგვესაჯა.

— ნოზაძე და გოჩაშვილი ტრავმების გამო შევცვალეთ, მაგრამ იმედია, მათი ტრავმები სერიოზული არ იქნება.

— ჩვენს დაძაბულობას ისიც აძლიერებდა, რომ ამ დღეებში ევროტურნირებზე ჰოსტსაბჭოთა ქვეყნების გუნდებმა ყველამ მოიგო და ჩვენ ყველაზე მაგრად უნდა მოგვეგო. მადლობა გულშემატკივრებს, ახლა ზაფხულია, ამ დროისთვის კი სტადიონზე ცოტა ხალხი როდი მოვიდა. 75 პროცენტით გასულები ვართ მომდევნო ეტაპზე.

— მატჩისწინა დარიგებაზე ფეხბურთელებს ხუთი წუთი საგანგებოდ ველაპარე იმაზე, რომ ყვითელი ბარათები არ დაემსახურებინათ, მაგრამ სწორედ ამაში იჩინა თავი გამოუცდელობამ.

— პოლონეთის ჩემპიონი „ვისლა“ მხოლოდ კარგი ფიზიკური მომზადებით არ გამოირჩევა, ძლიერი გუნდია. „ვისლას“ თამაშს ფირზე ვუყურე და ვფიქრობ, მის წინააღმდეგ წარმატებით თამაში შესაძლებელია. „ვისლას“ ჩვენს „დინამოსთან“ თამაში უჭირდა და ჩვენთან სათამაშოდ ძალიან სერიოზულად მოემზადება. „ვისლასთან“ მატჩში გულშემატკივართა მხარდაჭერა ძალიან დაგვჭირდება. ისე, საჩემპიონთალიგო განაცხადში გიორგი ადამიაც გვყავს შეყვანილი...

მილოცვის დღე გოჩაშვილისთვის: ჯერ გოლი მიულოცეს, მერე შვილი

მერაბ ფულელიანაშვილის ფოტო

სარმიელოლომი ვულოცავთ ვლადიმერ გოჩაშვილს ქალიშვილის დამადლმას!

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
I საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

გომელი (ბელარუსი)	0:2	**ტირანა** (ალბანეთი)	
სკონტო (ლატვია)	4:0	**რილი** (უელსი)	
ფლორა (ესტონეთი)	2:4	**ნოვა გორიცა** (სლოვენია)	
შერიფი (მოლდოვა)	2:0	**ჟენესი** (ლუქსემბურგი)	
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)	0:1	**ჰიკ** (ფინეთი)	
რეიკიავიკი (ისლანდია)	2:2	**შელბურნი** (ირლანდია)	

ავსტრია
მაქსიმუნდესლიგა. I ტური

აუსტრია 2:1 ადმირა
ბრეგენცი 1:5 რაპიდი
ზალცბურგი 1:1 პაშინგი
შტურმი 3:1 მატერსბურგი

ისლანდია
პრემიერლიგაზირონი. XI ტური

კეფლავიკი 1:0 აკურეირი
ვესტმანაეიარი 2:0 გრინდავიკი

ამხანაგური მატჩები

ჰერტა 3:1 ბეშიქთაში
ტილბურგი 1:1 სტანდარდი

შვედეთი
ალსვენსკა
გადადებული მატჩი

იურგორდენი 0:2 მალმიო

ფინეთი
ვეიკაუსლიგა
გადადებული მატჩი

როვანიემი 2:2 ჰაამენლინა

რუსეთი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

სატურნი 0:0 შინიკი

ფოკუსები არ იქნება!

ბატეს ჩამოსვლის ეშინია

კოტა ინასარიძე
ბორისოვიდან

ბორისოვის სტადიონის სალაროებთან გუშინ რიგი იდგა. ქომაგები ისე ჩამწკრივებულიყვნენ, საბჭოური დროის სასურსათო მაღაზია გაგახსენდებოდათ... ორი, სამი ბილეთი მომაწოდეთ, ფული გადააწოდეთ, დასავლეთი ტრიბუნის ბილეთი გამოართვი, ჩრდილი იქნება — ბელარუსი გულშემატკივარი მოუთმენლად ელის დღევანდელ მატჩს და, როგორც სტადიონის დირექტორმა გვითხრა, 5-ათასიან ორ ტრიბუნაზე დღეს ანშლაგი იქნება. კოხტა, მოვლილი სტადიონი ჰქონია „დინამოს" მეტოქეს, მოედანი ხომ თითქმის იდეალური, რიაც თავს იწონებენ კიდეც ბატეს ხელმძღვანელები. აქვე, სტადიონის გარშემო დიდი ბაზრობაა, თუმც გუშინ, 4 საათიდან პარასკევამდე ვაჭრობა აქ შეწყვიტეს, დახლები აალაგეს, ტერიტორია დაასუფთავეს და საკუთარი თვალით რომ არ მენახა, ვერც დავიჯერებდი, თამაშებისგან უქმე დღეებში სტადიონის ირგვლივ საბაზრო ალაგი თუა.

გუშინ, შუადღისას, ჩვენი სტადიონზე მიწვლის მიზეზი კი ის პრესკონფერენცია იყო, რომელიც ბატეს მწვრთნელმა იური პუნტუსმა საგანგებოდ ქართველი ჟურნალისტებისთვის გამართა. საუბარი, ცოტა არ იყოს, უცნაურ ადგილზე შედგა სტადიონის მეშვიდე სექტორში. გუშინ ბორისოვში გუშინწინდელზე უკეთესი ამინდი იყო, საგრძნობლად დათბა და ბატეს თავკაცმაც და ჩვენც დარბაზს ტრიბუნაზე ჩამოსხდომა ვამჯობინეთ.

პუნტუსმა დაიგვიანა და მოსლოისთანავე მოგვიბოდიშა. გუშინ თურმე საფეხბურთო ბელარუსი გროდნოს „ნემანის" მწვრთნელს იაკობ შაპიროს გლოვობდა. შაბათს „ნემანი" ჟოდინოს „ტორპედოს" სტუმრობდა და როცა გროდნოელებმა 93-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანეს, საწყალ შაპიროს სიხარულისგან გულმა სწორედ მაშინ უმტყუნა. ის საავადმყოფოში კი გააქანეს, მაგრამ ველარ უშველეს და გუშინ დაკრძალეს. პუნტუსიც მისი კოლეგის გასვენებიდან მოდიოდა...

— თბილისის „დინამოზე" საკმაო ინფორმაცია მაქვს, ვნახე ის მატჩები, რომლებიც თბილისელებმა შვეიცარიულ და ავსტრიულ ტურნირებზე ითამაშეს. მოკლედ, „დინამოზე" ბევრი ვიცი და რაც ვიცი, ამას ჩემს ფეხბურთელებს ვეტყვი. რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, გამიხარდა, მეტოქედ თბილისის „დინამო" რომ გვერგო, ძველი დიდი ხნის უნახავ მეგობრებს ვნახავ, წმინდა სპორტული თვალსაზრისით კი ქართველებთან მეტოქეობა არ მესიამოვნა. სჯობდა, „დინამოს" შემდეგ ან საერთოდ არ შეგხვედროდით.

...ჩვენ ხვალ უნდა მოვიგოთ, ანგარიშს კი ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ ექნება. რა თქმა უნდა, 3:0, 4:0 თუ მოვიგებთ, ძალიან კარგი იქნება, მაგრამ თბილისში რომ ერთბურთიანი ფორით წამოვიდეთ, ისევე ვითამაშებთ, როგორც დიდი ანგარიშით გამარჯვების შემთხვევაში. და საერთოდ, რომც წავაგოთ, ყველაფერი მაინც თბილისის მატჩისას გადაწყდება. ბატე უკან დახევს არ აპირებს.

...ბატე ლამაზ და შემტევ ფეხბურთს თამაშობს. მართალია, იმ შემადგენლობით, როგორიც მსურს, ხვალ ვერ ვითამაშებთ, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ „დინამოსთან" ხეირიან ფეხბურთელს ვერ გამოვძებნით. ბატეში დღესდღეობით საკმაო კონკურენციაა და შემადგენლობის პრობლემა არ გვექნება. მატჩისთვის 20 ფეხბურთელი ემზადება.

...სიურპრიზი? არა მგონია, რომ ან მე, ან ჩემი კოლეგა ხვალინდელ მატჩში ერთმანეთს რაიმე სიურპრიზს შევთავაზებთ. მოედანზე ყველაფერი გამოჩნდება, ვინც უკეთ ითამაშებს, ის მოიგებს. მეეჭვება, რომ „დინამოს" მწვრთნელმა დღეს რაიმე ფოკუსი გამოიგონოს.

...მიმაჩნია, რომ ახლა ბატეც და „დინამოც" სამი წლის წინანდელთან შედარებით უფრო ძლიერები არიან. ჩემი ფეხბურთელები უფრო გამოცდილები არიან, „დინამოშიც" რამდენიმე მაღალი დონის ფეხბურთელია.

...სამი წლის წინ, როცა „დინამოს" 4:0 მოვუგეთ, ვფიქრობდი, რომ ის ანგარიში შემთხვევითი იყო, თუმც ახლა სხვანაირად ვიტყვი. მაშინ ბატეს უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლო. ქართველები მაშინ ძალიან უდისციპლინოდ იქცეოდნენ და დაისაჯნენ კიდეც. „დინამომ" ის წაგება მხოლოდ თავის თავს უნდა დაბრალოს, თუმც ჩვენც კარგად ვითამაშეთ.

...ბეგანსკი, შმიგერა და შაბარა ხვალ ვერ ითამაშებენ. ბეგანსკი ტრავმის შემდეგ კი მომჯობინდა და გუნდთან ერთადაც ვარჯიშობს, მაგრამ ხვალ არ გავრისკავ და არ ვითამაშებ. შმიგერა და შაბარა კი ფორმაში არ არიან.

...ევროპის ჩემპიონატი არ მომეწონა. მე შემტევი ფეხბურთის მიმდევარი ვარ და ძალიან არ მესიამოვნა, საბერძნეთმა რომ გაიმარჯვა. მსურს, რომ ფეხბურთი რომანტიზმისკენ მიდიოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, პრაგმატიზმი სჭარბობს. საბერძნეთის ნაკრებია ამის მაგალითი, რომანტიზმით ბერძნები პორტუგალიაში ვერაფერს მიაღწევდნენ.

იური პუნტუსი წამოდგა და ბატეს ხელმძღვანელებთან ერთად მოედანი მოსინჯა, მერე მოგვიტრიალდა და გვკითხა — „დინამოზე" ისევ ისეთი საშინელი გაზონია? რა უნდა გვეთქვა? მხრები ავიჩეჩეთ... ბოლოს კი ბატეს თავკაცმა ერთი დაგვიბარა, აუცილებლად დათვალიერეთ მინსკი, ის უკვე ევროპული ქალაქიაო...

საღამოს, „დინამოს" ვარჯიშის შემდეგ, ჟურნალისტებს გია გეგუჩაძე გაგვესაუბრა:

— ბატეს თამაშის ფირი ვნახე, მაგრამ ძალიან უხარისხო იყო, კარგად ვერც გავარჩიე. ისე კი, გარკვეული წარმოდგენა ჩვენს მეტოქეზე მაქვს. განსაკუთრებით ნახევარდაცვას და თავდასხმას გამოვარჩევ. თვალში საცემია ისიც, რომ ბატე ფიზიკურად ძალიან კარგადაა მომზადებული.

— ვფიქრობ, ბატესთან პერსონალურად კი არა, ზონური დაცვით უნდა ვითამაშოთ. ეს ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ მაქვს, მაგრამ ალბათ ასე იქნება.

— ირაკლი ზოიძე და გიორგი შაშიაშვილი თავს კარგად გრძნობენ და ალბათ ითამაშებენ. ბიჭების მდგომარეობით კმაყოფილი ვარ და ბატესთან მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობ. სხვა შედეგი არ დაგვაკმაყოფილებს.

— არა მგონია, სამი თავდამსხმელით ვითამაშოთ. მართალია, „დინამო" შემტევი გუნდია, მაგრამ მეტოქის ძალაც გასათვალისწინებელია, თან სტუმრად ვთამაშობთ. შემადგენლობას კი თამაშის წინ დავასახელებ.

— აქ ყველას ჰგონია, რომ ბურდული „დინამოს" ლიდერია, თუმცა მე ჯერ კიდევ არ ვიცი, დავაყენებ თუ არა მას ძირითადში.

„დინამო" დღეს დილით ერთხელაც ივარჯიშებს, საღამოს კი მატჩია. როგორც გავიგეთ, გუნდები „როტეიროს" ბურთით ითამაშებენ. ეს სწრაფად მფრინავი ბურთი ევროპის ახლანდელი ჩემპიონატიდან გეხსომებათ.

ამასობაში ბატეს თავი ასტკივებია — ჩვენი მეტოქე სერიოზულად დაფიქრებულა, საქართველოში საომარი სიტუაციაა და თბილისში ჩასვლა სახიფათოაო. კლუბის პრეზიდენტმა უსაფრთხოების გარანტიებიც კი მოითხოვა.

პრესინგი!

ბურჯა ფულლიანგაბშვილი ფოტო

საფეხბურთო კვირეული თბილისში გრძელდება და დღეს კიდევ ერთი მატჩი გველის — უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „თბილისი" აზერბაიჯანულ „შამქირს" მასპინძლობს. შეხვედრა „ლოკომოტივის" სტადიონზე 19 საათზე დაიწყება და დასწრება უფასოა, რაც კლუბის ბიუჯეტს მცირედ, მაგრამ მაინც დაატყობს ხელს — მოგეხსენებათ, ევროტურნირების მატჩებს უეფა აკონტროლებს და გარკვეულ წილსაც იღებს. სწორედ ამ წილის გადახდა მოუწევს „თბილისს", თუმც მასპინძელთა მიზანიც გასაგებია — დღეს სტადიონზე ბევრი ქომაგი უნდა მივიდეს...

თამაშამდე კი თბილისელთა სამზადისზეც ვთქვათ — გუშინ „თბილისმა" საღამოს რვა საათზე დაიწყო ვარჯიში და გიორგი დევდარიანის მთავარი ამოცანა შეგირდებისთვის ტაქტიკის ახსნა იყო. ფეხბურთელები მშვიდად ისმენდნენ მწვრთნელის დარიგებებს და შესაბამისადაც იქცეოდნენ. ტაქტიკის ძირითადი კვანძი იოლად ამოსაცნობი იყო — რაც შეიძლება ცოტა შეხება ბურთთან, სწრაფი მოძრაობა და პრესინგი მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე.

ნავარჯიშევს გიორგი დევდარიანმა ზუსტად ამაზე გაამახვილა ყურადღება ჩვენთან საუბარში: „მე არ მაინტერესებს, რას და როგორ ითამაშებს „შამქირი". მთავარია, ჩემმა ბიჭებმა დავალება შეასრულონ. უნდა ვითამაშოთ სწარაფად და ვეცადოთ, რომ სტუმრებმა ბურთი იოლად ვერ გაათამაშონ. ჩვენი კოზირი პრესინგი იქნება".

ვარჯიშის შემყურეს, დღევანდელი მატჩისთვის შერჩეული თერთმეტეულის გამოცნობა არ გაგვჭირვებია. მართალია, მცირე ცვლილებები შესაძლოა მოხდეს, მაგრამ დევდარიანის სავარაუდო შემადგენლობა უინტერესო მაინც არ უნდა იყოს: *დევაძე — ორბელაძე, ქემოკლიძე, ლოლაძე, გეწაძე — ოდიკაძე, გოგუა, ჭელიძე, აფციაური — ხოჯავა — მიქაძე.*

4-4-1-1, ასეთია „თბილისის" თავკაცისთვის ოპტიმალური ტაქტიკა და ეს, ცხადია, აზერბაიჯანელთა ვარჯიშის ნახვის შემდეგაც გამყარდა.

— „შამქირის" ვარჯიშს ვუყურე და აშკარად ჩანს, რომ ბურთი იციან. არა მგონია, იოლად დასამარცხებელი გუნდი იყოს და რთულ მატჩს ველი, თუმცა ვფიქრობ, ვალდებულები ვართ, შემდეგ ეტაპზე გავიდეთ — გვითხრა ბოლოს დევდარიანმა.

კახა შალამბერიძე

ბადრი ჯეფლიშვილი ფოტო

ვინ იყიდის დინამოდან იაშვილს?

ძალიან მეწყინა — მე ტყუილი არ მიყვარს

19 წლის სანდრო იაშვილმა წინა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ საინტერესო ფეხბურთელად წარმოაჩინა თავი, თანამეგობრობის თასზეც წარმატებით ითამაშა და მისით კიევის „დინამოც" დაინტერესდა. იაშვილს საქართველოს თექვსმეტ და თვრამეტწლამდელთა ნაკრებშიც არაერთხელ გამოუჩენია თავი. მოკლედ, სანდრო უდავოდ ნიჭიერი ფორვარდია, მაგრამ თბილისის „დინამომ" ის ბელარუსში ბატესთან მატჩისთვის არ წაიყვანა.

ჩვენმა კორესპონდენტმა კობა ინასარიძემ ბელარუსიდან გვაუწყა, „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ იაშვილის თბილისში დატოვების მიზეზად საზარდულის ტრავმა დაასახელაო. გუშინ კი თავად იაშვილს გამოვკითხეთ მისი ბელარუსში არწასვლის მიზეზი...

— როგორ ფიქრობ, რატომ არ წაგიყვანეს ბატესთან სათამაშოდ?
— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით.
— გეგუჩაძემ ამის მიზეზად შენი ტრავმა დაასახელა — საზარდული აწუხებსო...
— არაფერი არ მტკივა, ჯანმრთელად ვარ, ტყუილები კი მე არ მიყვარს.
— გასაგებია, მაგრამ რაღაც მიზეზი ხომ უნდა არსებობდეს?
— ვერანაირ მიზეზს ვერ ვპოულობ, გუნდში უთანხმოება არავისთან მომსვლია.
— ბელარუსში რომ არ წაგიყვანეს, ძალიან გაწბილებული ხარ?
— ეგრეა, რომ არ წამიყვანეს, ძალიან მეწყინა.

დავით თავართქილაძე

აზერბაიჯანული „შამქირი“ თბილისში გუშინ სამ საათზე ჩამოვიდა და სასტუმრო „ბატესტაში“ დაბინავდა. სტუმრებმა გუშინვე „ლოკომოტივზე“, ერთსაათიანი ვარჯიში ჩაატარეს, რომელსაც „თბილისის“ მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანიც ესწრებოდა. შამქირელები კარგა ჯანიანები ჩანან და არც ბურთთან არიან მწყრალად. იციან მოკლე პასებით საჯარიმომდე ბურთის მიტანაა, მერე კი ტანმაღალი და ჯანიანი უკრაინელი კულიკოვი და ნიგერიელი ესკონტ ესკანტი იბრძვიან. აზერბაიჯანელებს სამი ქართველიც ჰყავთ, მალხაზ ჭინჭარაული, გელა ბართია და ბადრი კვარაცხელია...

საღღაა ჩვენი მილიონები...

„შამქირის“ მენეჯერი **ელვინ აგაევი** აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციაშიც ამავე თანამდებობაზეა და მისგან ბევრი საინტერესო რამ გავიგეთ...

— „შამქირი“ წლეულს მნიშვნელოვნად დასუსტდა, გუნდს 6-7 წამყვანი ფეხბურთელი დააკლდა. ძველი შემადგენლობით რომ ჩამოსულიყავით, შანსი არ გექნებოდათ, ერთ სიამოვნებად ღირდა იმ გუნდის თამაშის ნახვა. მაშინ ჩვენი წლიური ბიუჯეტი ერთ მილიონ ამერიკულ დოლარს აღემატებოდა. ახლა კი...



ხარამან ალიევი

— რამდენია თქვენს კლუბში მინიმალური ხელფასი?

— მოდით, მე მაქსიმალურს გეტყვით და თავად განსაჯეთ — 200 დოლარი.

— ესკანტი სად იპოვეთ?

— შვეიცარიის მეორე ლიგაში აღმოვაჩინე, ნიგერიელია. მის სანახავად აზერბაიჯანში ბლომად ხალხი მოვა.

— აზერბაიჯანულ ფეხბურთში რა სიახლეებია?

— ოქტომბერში ინგლისის ნაკრებს ვმასპინძლობთ. ტოფიკ ბახრამოვის ძეგლი იხსნება და ფრანც ბეკენბაუერი, მიშელ პლატინი და თვით პელეც კი გვესტუმრებიან. ჩვენთან ყველა დარწმუნებულია, რომ ინგლისის ნაკრებს დავამარცხებთ.

— ძალიან თამამი პროგნოზია. ხვალინდელი თამაშის თქვენეული პროგნოზიც ასეთია?

— ძალიან მინდა, რომ დიდი ანგარიშით წავაგოთ, რათა ფეხბურთისადმი მიდგომა შეიცვალოს. როდესაც გუნდს აკეთებ, ფულის დახარჯვაც უნდა შეგეძლოს, ისე, 2:0-ზე მეტი თუ არ მოიგეთ, ვფიქრობ, ყველაფერი ჩვენთან, საპასუხო მატჩში გადაწყდება. განსაკუთრებით ძლიერი ნახევარდაცვა გვყავს, სადაც აზერბაიჯანის ნაკრების სამი ფეხბურთელი თამაშობს.

— რატომ ხართ ასე თავდაჯერებული?

— „შამქირს“ შვიდი წელია, ევროსარბიელზე შინ არ წაუგია. თურქული „გალათასარაის“ სულაც 2:2 ვეთამაშეთ. რიგის „სკონტო“ კი 2:1 დავამარცხეთ და ასპარეზობიდანაც გამოვეთიშეთ.

ამის შემდეგ გუნდის მთავარ მწვრთნელს ხარამან ალიევს და კიპტან ხალიკ მარდანოვს გავესაუბრეთ...

ხარამან ალიევი:

— მგზავრობით ძალიან არ დაგღლილვართ. კარგ სასტუმროშიც დაგვაბინავეს. მომეწონა სტადიონი და მინდვრის საფარი. ოცი წლის წინ თბილისში რომ ვთამაშობდი, ასეთი კოხტა სტადიონი არ გქონდათ. ჯარში ვმსახურობდი და თბილისის სკა-ში ვირიცხებოდი. ეს გუნდი საკავშირო პირველობის ქვედა ლიგაში თამაშობდა. ამ სტადიონზე თამაში მეც მომინდა.

— ქართულ ფეხბურთზე რა იცით?

— მეზობლები ვართ და ძალაუნებურად ერთმანეთისა ბევრი ვიცით. ჩვენც თქვენსავით ტექნიკურ ფეხბურთს ვანიჭებთ უპირატესობას. ამიტომაც ვეცდებით, რომ თბილისში გულშემატკივრებს ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენოთ. საბედნიეროდ, გუნდის ბირთვი ჯანმრთელადაა და ყველა ითამაშებს.

— როგორი ანგარიში დაგაკმაყოფილებთ განმეორებითი შეხვედრის წინ?

— მოდით, წინასწარ ნურაფერს ვიტყვით. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა შემდგომ ეტაპზე გავიდეთ, აქედან რა გამოგვივა, ვნახოთ, თავს უშანსოდ სულაც არ მივიჩნევთ.

— აზერბაიჯანიდან გულშემატკივრებს თუ ელით?

— ვფიქრობ, 200 გულშემატკივარი მაინც ჩამოვა. იმედი მაქვს, საქართველოს აზერბაიჯანული დიასპორაც მხარს დაგვიჭერს.

— ქართველ ფეხბურთელებს თუ ათამაშებთ?

— თამაშის წინ გადავწყვეტ...

ხალიკ მარდანოვი:

— თქვენ საერთაშორისო სარბიელზე თამაშის საკმაო გამოცდილება გაქვთ...

— ევროთასებზე პირველად 1995 წელს ვითამაშე ვენის „აუსტრიას“ წინააღმდეგ. აღარც ვიცი, უკვე მერამდენე საერთაშორისო მატჩს ვატარებ. ზედიზედ ექვსი წელი აზერბაიჯანის ჩემპიონები ვხდებოდით და სულ ვთამაშობდით ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებს. თბილისში კარგი ფეხბურთის საჩვენებლად ჩამოვედით.

— ფავორიტად ვის თვლით?

— თანამედროვე ფეხბურთში ნებისმიერ მეტოქეს სათანადო დაფასება სჭირდება, თუმც როგორც მასპინძლებს, ქართველ ფეხბურთელებს მოგების მეტი შანსი აქვთ. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ ყველაფერი შამქირში გაირკვევა.

დავით ერაძე

სიონი კილასონიასკენ გაფრინდა

ვარლამ კილასონიამ „რუსთავი“ უმაღლეს ლიგაში გადმოიყვანა და... კლუბის ყოფნა-არყოფნაზე უამრავი თავსატეხიც გაუჩნდა. „რუსთავს“ ერთი ფიცხელაც არ გამოუჩნდა, რომ ყოფნა ეთქვა და ასე ბედის ანაბარა დარჩენილი გუნდი, რა გასაკვირია, მოთამაშეებმაც დატოვეს.

ვარლამ ფოლადაშვილის ფოტო

კილასონიას გარჯა შეუმჩნეველი არ დარჩენია ბოლნისის „სიონს“ და აკი მის გადაბირებასაც აპირებს. ბოლნისელებმა გუნდისთვის მძიმე პერიოდი უკან მოიტოვეს, ფეხბურთელები დაიბრუნეს და ახლა მთავარი მწვრთნელის ძიებაშიც არიან. გუშინ ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად ვარლამ კილასონიას შევეხმიანეთ...

— კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ ის ვიცი, რომ „სიონის“ ხელმძღვანელობას აქვს ამის სურვილი...

— მერედა, წინ რა უდგას?

— როგორც ჩანს, ჯერ თავადაც არ არიან ჩამოყალიბებული, იმ პირობებზე, რომელიც უნდა შემომთავაზონ. ყოველ შემთხვევაში, ჩემთან არავის ულაპარაკია.

— და თუ მიიღეთ შემოთავაზება?

— „სიონს“ ჩემი დასაწუნი რა აქვს?!

— როდის გაირკვევა ეს საკითხი, დრო ხომ აღარ ითმენს?

— ორ-სამ დღეში ალბათ დამიკავშირდებიან.

— „რუსთავზე“ ხელი საბოლოოდ ჩაიქნიეთ?

— ასე გამოდის. აბა, რა ვქნა?! არანაირი წინსვლა არ არის, ერთი საიმედო ნაბიჯიც კი არ გადადგმულა. ის ფეხბურთელები კი, ვინც გუნდში დარჩნენ, ვარჯიშს აგრძელებენ.

დავით ერაძე

წყალტუბო ზესტაფონია ქე არ მოვფერიანდით!

როგორც იქნა — წყალტუბოს „სამგურალმა“ და ზესტაფონის „მეტალურგმა“ ხელი ხელს დაჰკრეს. ორი იმერული კლუბი გაერთიანდა და გუშინწინ ოფიციალურად გაფორმდა ხელშეკრულება. ახლა მცირე ფორმალობებიღა დარჩა და ახალ ჩემპიონატში უმაღლეს ლიგას ერთი შეძლებული გუნდიც შემატება — „მეტალურგის“ სპონსორი ხომ ქართულ-ავსტრიული საწარმო „ფეროა“.

— ჩვენს შორის ყველაფერი გარკვეულია — გვითხრა გუშინ წყალტუბოს გამგებელმა *მამუკა სალარეიშვილმა* — ამიერიდან „სამგურალს“ „ფერო“ უპატრონებს, ჩვენ გავერთიანდით და ამის შესახებ უკვე პროფლიგასაც მოვახსენეთ. ახლა რაღაც საბუთები კიდევ მოგვთხოვეს პროფლიგისა და ფედერაციის თავკაცებმა, რაც პრობლემა არაა, უახლოეს დღეებში ამასაც წარვუდგენთ. იმედია, ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება.

ძახა შალამბერიძე

პანეხი მიაბრძანეს

მოსკოვის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ გუნდის წარუმატებლობა ითმინა, ითმინა და ბოლოს ქირურგიას მიმართა – გუნდიდან ჩეხი მწვრთნელი იაროსლავ გეგბიკი დაითხოვა. მის შემცვლელად გუნდშივე მომუშავე ვიქტორ ბონდარენკო ისაქმიანებს. როგორც ჩანს, გეგბეკს მისივე მოყვანილი ჩეხი ფეხბურთელებიც მიჰყვებიან. ითქვა, რომ მათ კლუბის ნდობა ვერ გაამართლეს. ასეთი საკადრო ცვლილებები, ბუნებრივია, საკმარისი მიზეზი იყო საიმისოდ, რათა მოსკოვში ოთარ ხიზანეიშვილს შევხმიანებოდით...

— ოთარ, შენთვის უკეთესია მწვრთნელის შეცვლა?

— რა ვიცი, ალბათ ჰო, ისე კი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გუნდის საკეთილდღეოა, მისალოცია, თუმც ცუდად არც გეგბეკი მიყურებდა.

— არ გათამაშებდა და მაინც ამბობ, ცუდად არ მიყურებდაო?

— როცა დავჭირდი, ხომ მათამაშა?!

— „როსტოვთან“ მატჩის მერე შენზე ბევრი კარგი ითქვა...

— კი, ასე იყო, ბონდარენკომაც და გუნდის პრეზიდენტმა ანდრეი ზავარზინმაც შემაქეს.

— ბონდარენკო უკვე გაიცანი?

— კი და ძალიან კმაყოფილი ვარ. გულღია კაცი ჩანს. ფეხბურთელები ცალ-ცალკე დაგვიბარა და გვესაუბრა. მე მითხრა, ძირითადისთვის მჭირდები და არ დამაღალატოო. გეგბეკი ადრე მხოლოდ თანამემამულეებს ელაპარაკებოდა.

— ბონდარენკოს ვარჯიშებზე რას იტყვი?

— გაცილებით მეტი კონტაქტი გვაქვს ბურთთან.

— გეგბეკს მისი მოყვანილი ჩეხი ფეხბურთელებიც ხომ არ მიყვებიან?

— ამბობენ. ყოველ შემთხვევაში, ორი ჩეხი ალბათ წავა. მათ ვერ გაამართლეს გუნდის იმედები.

— შენი კონკურენტიც ხომ ჩეხი იყო, ის რჩება?

— სლოვაკი იყო და ალბათ მასაც მოუწევს გუნდის დატოვება.

— რა ცვლილებებია ბონდარენკოს მოსვლის შემდეგ?

— იმედი გაჩნდა, რომ უკეთ ავთამაშდებით, ურთიერთობებიც დათბა. მოკლედ, გუნდი არ იყო, ჩვენ ცალკე ვიყავით და ჩეხები ცალკე, ახლა გუნდურ სულისკვეთებაზე დიდი აქცენტი კეთდება. ამჟამად შეკრებაზე ვართ და შემდეგი ტურისთვის ვემზადებით.

დავით ერაძე

ᲙᲝᲞᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ 2004
ᲞᲔᲠᲣ (6-25 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ)
Ⲃ ᲯᲒᲣᲤᲘ. III ᲢᲣᲠᲘ

ᲑᲘᲔᲚᲡᲐᲡ ᲤᲘᲒᲐᲠᲝ ᲤᲘᲒᲔᲠᲝᲐ

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ 4:2 ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ

0:1 ეშტოიანოფი (7), 1:1 კილი გონსალესი (20პ), 2:1 ფიგეროა (21), 2:2 სანჩესი (38), 3:2 აიალა (81), 4:2 ფიგეროა (90)

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ: აბონდანსიერი, ხ. ძანეტი, რ. აიალა, ჰაინცე, კლემენტე როდრიგესი (მ. გონსალესი 46), ლ. გონსალესი (სავიოლა 79), მასკერანო, კილი გონსალესი, დალესანდრო, ლ. ფიგეროა, ს. დელგადო (ტევესი 77)

ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ: ბარბატი, დიოგო, ბიზერა, ლაგო, დ. როდრიგესი, სოსა (ბუენო 86), ეშტოიანოფი (გ. როდრიგესი 44), დ. პერესი, ხ. დელგადო, ვ. სანჩესი (კრისტიანო როდრიგესი 72), ფორლანი

მსაჯი: რუბენ სელმანი (ჩილე)

25 000 მაყურებელი

REUTERS მიუთითებს

ლუჩანო ფიგეროა

ᲚᲣᲩᲐᲜᲝ ფიგეროამ პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა, საბოლოოდ დუბლი მითვალა, არგენტინამ კი კაცნაკლულ ურუგვაის სძლია.

ხავიერ სავიოლამ ეკვადორთან მატჩში ჰეთ თრიქი შეასრულა, მაგრამ მექსიკასთან მისი თამაშით მარსელო ბიელსა უკმაყოფილო დარჩა. ამიტომაც ამჯობინა სავიოლას ფიგეროა და ძირითად შემადგენლობაში გაამწესა.

ურუგვაელები ფაბიან ეშტოიანოფის გოლით დაწინაურდნენ. ნახევარმცველმა ბურთს მარჯვენა ისეთი ძალით დაუჯახა, რომ რობერტო აბონდანსიერი უძლური აღმოჩნდა.

ამის შემდეგ არგენტინელებმა პენალტი მოინაგრეს. სესარ დელგადოს წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი კილი გონსალესმა შეასრულა. „ინტერის“ ლეგიონერმა „კოპა ამერიკაზე“ უკვე მეორე პენალტი გამოიყენა.

წუთიც კი არ იყო გასული, ლუჩანო ფიგეროამ არგენტინა რომ დაწინაურა. ხავიერ ძანეტის დარტყმული ლუის ბარბატმა უშნოდ მოიგერია და მექსიკური „კრუზ ასულის“ ფორვარდმა დასწრებაზე ივარგა.

ურუგვაიმ უხეშობას უხშირა. ჩილელმა მსაჯმა რუბენ სელმანმა კარლოს დიოგო აშკარად დაინდო, როცა მცველი კილი გონსალესს „ორკაპით“ ფეხებში ჩაუხტა.

მომდევნო ეპიზოდში სელმანმა აღარ დაახანა და ხოსე ბიზერას წესის დარღვევისთვის წითელი ბარათი დაუძრო.

REUTERS მიუთითებს

არგენტინას კაპიტან რობერტო აიალას თავურიც შეეწია

ათკაცა ურუგვაიმ გათანაბრება პირველივე ტაიმში შეძლო. ვისენტე სანჩესმა მეტოქეს ბურთი აწაპნა და ოცდახუთიოდ მეტრიდან დაჰკრა. გზად გეზნაცვალი ბურთი აბონდანსიერის ზურგს უკან, კარში ჩაეშვა.

არგენტინამ მეორე ტაიმი მოწინააღმდეგის ნახევარზე გაატარა. მარსელო ბიელსას მოგება სჭირდებოდა და ჯერ კარლოს ტევესი, შემდეგ კი ხავიერ სავიოლა შეუშვა მოედანზე. ფიგეროამ ერთხელ და კილი გონსალესმა ორჯერ კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს.

სამაგიეროდ, კაპიტანმა რობერტო აიალამ იყოჩაღა. ანდრეს დალესანდრომ კუთხური ჩააწოდა, აიალამ კი თავით დაჯაბნა ურუგვაელი მცველები და ლუის ბარბატს მესამე შეუგდო.

ბოლოს კვლავ ფიგეროამ იძალა, ურუგვაელები კონტრშეტევაზე გამოიჭირა და მატჩში მეორე გოლი გაიტანა.

ეს იყო ამ გუნდების 194-ე შეხვედრა, ხოლო „კოპა ამერიკის“ ისტორიაში არგენტინამ ურუგვაის მეთოთხმეტედ მოუგო.

„გუნდმა ისევე ითამაშა, როგორც მექსიკასთან. ბურთს მეტხანს ვფლობდით და წინა მატჩისგან განსხვავებით მომენტები გამოვიყენეთ. ხანდახან ასეა, ერთსა და იგივეს აკეთებ, მაგრამ შედეგი სხვანაირად გამოდის“ — თქვა გამარჯვებულთა კმაყოფილმა მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ.

„დავმარცხდით, მაგრამ ბიჭების გარჯით მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან მეოთხედფინალში გავედით“ — განაცხადა ურუგვაელთა თავკაცმა ჟორჟე ფოსატიმ.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲣᲢᲘᲡᲢᲐᲛ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲓᲐᲐᲡᲕᲐ

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ 2:1 ᲔᲙᲕᲐᲓᲝᲠᲘ

1:0 ალტამირანო (27ვ), 2:0 ბაუტისტა (43), 2:1 დელგადო (71)

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ: ო. სანჩესი, ალტამირანო, კ. სუარესი, დავინო, ბრისენო, ო. ვალდესი, ტორადო, რ. მორალესი (ლოსანო 28), პალენსია, ბაუტისტა (მ. მენდესი 60), არელანო (დ. ოსორნო 74)

ᲔᲙᲕᲐᲓᲝᲠᲘ: ხ. ესპინოზა (ლანსა 45), დე ლა კრუზი, ი. ურტადო, ჯ. ესპინოზა, რეასკო, სოლედისპა, ბიოვი, სარიტამა, აგინაგა (გ. ფიგეროა 65), კ. კალა, ა. დელგადო

მსაჯი: ედუარდო ლეკა (პერუ)

25 000 მაყურებელი

ᲐᲓᲝᲚᲤᲝ ბაუტისტა კი მექსიკელთა ჯილა გახდა. პენალტი მისი წაქცევისთვის დაინიშნა, მეორე გოლი კი სულაც თავად გაიტანა.

რიკარდო ლავოლპეს თავი მეოთხედფინალში ჰყავდა დაგულებული და ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი დაასვენა.

„კოპა ამერიკაზე“ პირველი მატჩი ითამაშა 35 წლის კლაუდიო სუარესმა, რომელსაც 172 სანაკრებო შეხვედრა მოუგროვდა.

გუნდს გამოაკლდა ბორგეტი, რადგან და გარდაეცვალა და ჭირისუფალიც სამშობლოში გაემგზავრა.

სუარესმა და ტორადომ თითოჯერ თავით დაურტყეს ესპინოზას, მაგრამ ეკვადორელმა მეკარემ ორჯერვე იმარჯვა. ესპინოზამ მოგვიანებით ბაუტისტა საჯარიმოში წააქცია, ექტორ ალტამირანომ პენალტით მექსიკა დაწინაურა.

აუგუსტინ დელგადოს და ალექს აგინაგას ჰქონდათ საგოლე მომენტები, თუმც შეტევა ორივემ უხეიროდ დაასრულა.

ტაიმის მიწურულს მექსიკელთა მცველმა დუილიო დავინომ გრძელი პასით ბაუტისტა მეკარეს პირისპირ შეყარა. ეკვადორელები თამაშგარეს მოლოდინში გაჩერდნენ, ფორვარდმა ამით ისარგებლა და ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

შესვენებამდე წუთით ადრე მეკარე ესპინოზა დაშავდა და შეცვალეს.

მეორე ტაიმის დაწყებიდან 15 წუთში ლავოლპემ ადოლფო ბაუტისტა მცველით შეცვალა და ეკვადორელები ამის შემდეგღა გააქტიურდნენ.

ფრანკლინ სალასის პასით დელგადომ ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლეს და ბოლო ადგილზე გასულნი ჩემპიონატს დაემშვიდობნენ.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐ	3	2	1	0	5:3	7
ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ	3	2	0	1	10:4	6
ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ	3	1	1	1	6:7	4
ᲔᲙᲕᲐᲓᲝᲠᲘ	3	0	0	3	3:10	0

მექსიკა, არგენტინა და ურუგვაი გავიდნენ მეოთხედფინალში

REUTERS მიუთითებს

მექსიკელთა მწვრთნელი რიკარდო ლავოლპე ზოგჯერ უკმაყოფილო იყო



ანგარიში ექტორ ალტამირანომ პენალტით გახსნა

ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲝᲐ

ᲙᲚᲐᲣᲓᲘᲝ ᲞᲘᲖᲐᲠᲝ სამკურნალოდ გერმანიაში გაფრინდა. პერუელი ფორვარდი ვენესუელასთან მატჩში დაშავდა, თავში ფეხი მოხვდა და ქალა დაუზიანა.

ეს ამბავი რომ შეიტყო, მიუნხენის „ბაიერნმა“ თავის ფეხბურთელს ექიმი პერუში გაუგზავნა, რომელმაც პაციენტი ადგილზე გასინჯა და განაცხადა, ავადმყოფზე მგზავრობა ცუდად არ იმოქმედებს, კლინიკაში მიმყავსო.

პიზაროს გერმანიაში მოგვიანებით მამა ჩაკითხავს. „ჩემი შვილი საოპერაციოა. თავის ქალა საშინლად დაუსივდა“ — თქვა მან.

„ბაიერნის“ ლეგიონერი მეოთხედფინალში არგენტინასთან ვერ ითამაშებს, რაც მასპინძლებისთვის დიდი დანაკლისია.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

როგორ გავხდე მილიონერი

ბექემის გაფუჭებულმა ბიჭი გააბედნიერა

აი, ბურთი: პაბლო კარალი მილიონერია

საინტერნეტო აუქციონის შედეგად თითქმის სამ მილიონ ევროდ დაფასდა ბურთი, რომელიც დევიდ ბექემმა ააცილა პენალტის ნიშნულიდან პორტუგალიელთა კარს ევრო-2004-ის მეოთხედფინალურ მატჩში.

კარს ზემოდან გადაცილებული ბურთი „ლუჟის“ სტადიონის კარსუკანა ტრიბუნაზე მჯდარმა ესპანელმა გულშემატკივარმა იგდო ხელთ და მისი გაყიდვა გადაწყვიტა მას შემდეგ, რაც ერთმა ინგლისურმა გაზეთმა 18 ათასი ევრო შეაძლია.

ამის შემდეგ ესპანელი ერთ საიტს დაუკავშირდა და ვაჭრობაც გაჩაღდა. ბურთი, რომელსაც შეხვედრის მონაწილე ქვეყნების სახელები აწერია, 1 ევროდ იყო შეფასებული, მაგრამ 48 საათში ასტრონომიულ 2,800,800 ევროს უწია.

აუქციონი 22 ივლისამდე გაგრძელდება და ფასიც, ალბათ, გაიზრდება.

პაბლო კარალი კი, „დეპორტივოს“ 25 წლის ფანი, ალბათ ვერასოდეს დაივიწყებს იმ საოცარ წამს, რომელმაც მთელი მისი ცხოვრება შეცვალა. ბექემის ფინთად მოქნეულმა მილიონერად აქცია უბრალო ბიჭი.

იყიდეთ, ვისაც არ ვყიდით

დროგბა: 40 000 000

ჟოზე მაურინიუ და პიტერ კინიონი რომან აბრამოვიჩის პასუხს ელიან

„მარსელმა“ „ჩელსის“ 28 მილიონ ევროზე უარი თქვა, ჩემი კოტდივუარელი თავდამსხმელი დიდიე დროგბა მირჩევნიაო.

მოგეხსენებათ, ბოლო რამდენიმე დღეა „ჩელსისა“ და „მარსელს“ შორის მოლაპარაკებებია გაჩაღებული.

„მოლაპარაკებები ლონდონელებსა და „მარსელის“ დირექტორატს შორის. მართალია, უკვე დაწყებულია, მაგრამ შედეგი არ აქვს, რადგან 28 მილიონი ევრო თანამედროვე სატრანსფერო ბაზრისთვის ადეკვატური თანხა არ არის — განუცხადა გაზეთ „ეკიპს“ კლუბის პრეზიდენტმა კრისტოფ ბუშემ — ჩვენ ამწუთას დროგბას გაყიდვა არც გვსურს. დიდიეს ამაზე ველაპარაკე და მინდა გითხრათ, რომ ჩინებულ გუნებაზეა. ერთი სიტყვით, ჩვენ „ჩელსის“ წინადადებაზე უარი განვაცხადეთ და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამით მაზანდის აწევას ვაიძულებთ, ეს გუნებაში არც გამივლია“.

ამასთან ერთად კი, ბუშე ლონდონელთა სტილს და მოლაპარაკების უნარს მოუხიბლავს.

„ისინი აბსოლუტურად პატიოსნები იყვნენ და ჩვენი გვერდის ავლით რაიმეს მოკვარახჭინება არც უფიქრიათ. ერთი სიტყვით, ამჯერად ეს არის და ეს“.

თუმცა ძალიან საინტერესო იყო ისიც, რაც ბუშემ მაინც დასძინა:

„ჩვენ და დიდიემ აბსოლუტურად ზუსტად ვიცით, მისი გაყიდვის შემთხვევაში შემცვლელად ვინ უნდა მოვიყვანოთ“.

ამასთან, „ჩელსისთან“ დაკავშირებული წყაროები ამბობენ, რომ კლუბის პრეზიდენტი რომან აბრამოვიჩი ვერ მოისვენებს და თანხას აწევს, რაც, წესით, ფრანგებს უნდა აწყობდეთ.

აღსანიშნავია, რომ ლონდონელთა ახალ მწვრთნელს, პორტუგალიელ ჟოზე მაურინიუს დროგბას შეძენა თავდამსხმელთა ოთხეულის დასაკომპლექტებლად სჭირდება. მაურინიუს სასურველი კვარტეტი კი ასეთია: მატეა კეჟმანი, ადრიან მუტუ, ეიდურ გუდიონსენი და დიდიე დროგბა, რომელმაც „მილანში“ გადასული არგენტინელის, ერნან კრესპოს ადგილი უნდა დაიკავოს.

გუშინვე „მარსელის“ ხელმძღვანელობამ დიდიე დროგბას სატრანსფერო ფასი ოფიციალურად დაასახელა — თავდამსხმელს 40 მილიონ ევროზე ნაკლებ არ გავყიდითო.

რას იზამს აბრამოვიჩი?

პაპუნა კედია





არსენ ვენგერმა „ჰაიბერიზე“ ახალი ფეხბურთელები მიიყვანა, ემილ ჰესკი კი „ლივერპულიდან“ „ბირმინგემში“ გაიქცა

COME ON, COME ON ერთი თვით ადრე

პრემიერლიგის დაწყებამდე ზუსტად ერთი თვე დარჩა და იქაური ბობოლა კლუბები ახლა საფეხბურთო ბაზარზე ტრიალებენ. საერთო სურათი მართლაც საინტერესოა, იმიტომ, რომ ყველა განახლებას და კარგის იაფად შოვნას ცდილობს.

მაგალითად, ჩემპიონი და წაუგებელი „არსენალი“, რომელიც ახალი სტადიონის მშენებლობის გამო ბოლოხანს დიდად ვერ აქტიურობს, კვლავ ძველ პოლიტიკას აგრძელებს. არსენ ვენგერმა 2,75 მილიონ გირვანქად შეიძინა „ფეიენოორდიდან“ რობინ ვან პერსი და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ტუნისელ ჰატერ ტრაბელსიაც მიიყვანს „ჰაიბერიზე“ „აიაქსიდან“ 4 მილიონად.

შარშან მეექვსე ადგილზე გასულმა „ასტონ ვილამ“, რომლის პატრონსაც ფულის ხარჯვა არ უყვარს, მშვენიერი გარიგება გაჩარხა: „საუთჰემპტონს“ 2 მილიონად მიჰყიდა პრემიერლიგის ყველაზე მაღალი ფეხბურთელი პიტერ კრუჩი, სანაცვლოდ კი „ჩელსისგან“ იმედისმომცემი კარლტონ კოული იქირავა, მილანელი დანიელის, მარტინ ლაურსენის გამოჩენა „ვილა პარკზე“ კი მხოლოდ წაადგება დევიდ ოლირის გეგმებს.

დიდი მისვლა-მოსვლა იგეგმება ბირმინგემის მეორე კლუბში „სიტიში“. „სენტ ენდრიუსზე“ ელიან ემილ ჰესკის, ვეტერან მაზი იზეტს, მარიო მელხიოტსა და იესპერ გრონკიაერს.

„ბლექბერნში“ „ლიდსიდან“ უფასოდ მივიდა შოტლანდიელი მცველი დომინიკ მატეო და მისი თანამემამულე პოლ დიკოვიც ალბათ აქ ითამაშებს. სამაგიეროდ, დუაიტ იორკის და ენდი კოულის მომავალი „ივუდ პარკზე“ ბუნდოვანია.

„ბოლტონი“ კი კვლავაც აგრძელებს ძველ ვარსკვლავთა შეკრებას: ტრავმებით ტანჯულ ლიდსელს, მაიკლ ბრიჯისს ელის „ნიუკასლიდან“, ხოლო გავარდნილი „ლესტერიდან“ ლეს ფერდინანდს.

შარშან „ჩარლტონმა“ სკოტ პარკერი მიჰყიდა „ჩელსის“, ვისგანაც კარლტონ კოული ჰყავდა ნაქირავები. „ჩარლტონმა“ კოული ვერ შეინარჩუნა, სამაგიეროდ, დანიელი დენის რომედლი მოიყვანა „პსვ ეინდჰოვენიდან“ 2 მილიონად.

„ჩელსიში“ კი ჰოლანდიური ლიგიდან ელიან შევსებას, არიენ რობენსა და მატეა კეჟმანს, ხოლო თუ დიდიე დროგბას ტრანსფერიც გამოვიდა, ჟოზე მაურინიუ მთლად თავის ჭკუაზე მოაწყობს გუნდს.

ყველაზე დიდი გაურკვევლობა „ევერტონშია“: ტომაშ რაძინსკიმ მენეჯერი დევიდ მოიესი გააკრიტიკა და გუნდიდან გაშვება მოითხოვა, უეინ რუნის ხვალინდელი დღე კი უცნობია. რაძინსკის „ფულემი“ უმიზნებს, რომელსაც ენდი კოულიც მოსვლია თვალში და პორტსმუთელი ამდი ფეიეც. თუმცა, „ფულემს“ დანაკარგიც აქვს — შონ დევისი „ტოტენჰემში“ წავიდა.

„ლივერპულს“ ახალი მენეჯერი, რაფა ბენიტესი ჰყავს, თუმცა ჯერაც არ გარკვეულა, სტივენ ჯერარდი „ჩელსიში“ წავა თუ კვლავ ალისფერებს უკაპიტნებს.

ჯერჯერობით დუმს მძიმესეზონგამოვლილი „მანჩესტერ სიტი“. ეგებ, კევინ კიგანიც არ დარჩეს თავის პოსტზე. მანამდე კი გუნდის დაცვას დენი მილსი და ბენ ტეტჩერი მოამაგრებენ.

სამაგიეროდ, დიდ მზადებაშია „მანჩესტერ იუნაიტედი“. სერ ალექსმა „ლიდსიდან“ ალან სმიტი მოიყვანა და როგორც ამბობენ, უეინ რუნისაც შესწვდება.

„მიდლსბრომ“ ძალიან ცნობილებიდან ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და მარკ ვიდუკა წაიყვანა და ახალ სეზონში სტივ მაკლარენის ბედს ძაღლი ნამდვილად არ დაჰყეფს.

სერ ბობი რობსონმა უკვე იყიდა „ლიდსისგან“ თინეიჯერი ვარსკვლავი ჯეიმს მილნერი და ახლა ნიკი ბათსა და საუთჰემპტონელ მეგოლე ჯეიმს ბიტის უმიზნებს.

„პორტსმუთმა“ კი სწორედ „ნიუკასლს“ გამოსთხოვა ლომანა ლუა ლუა და „ევერტონიდან“ მიიწვია მცველი დევიდ ანსუორთი.

„საუთჰემპტონი“ ახლა ბიტის წასვლა-დარჩენის საქმეშია ჩაბმული, ხოლო „ტოტენჰემის“ სათავეში მისული ჟაკ სანტინი იმითაა კმაყოფილი, რომ გუნდში შონ დევისი დაახვედრეს. ლიდსელი მეკარე პოლ რობინსონიც საუკეთესო შენაძენია.

ბაზრობა კი გრძელდება. წინ ერთი თვეა.

ირაკლი გამყრელიძე



ტედი შერინგემი

შერი აირჩევს

ტედი შერინგემი „პორტსმუთმა“ კი დაითხოვა, მაგრამ 38 წლის ფორვარდს, ვისაც პრემიერლიგაში 300-ზე მეტი გოლი გაუტანია, ფეხბურთისთვის თავის დანებება არ უნდა და პირველ დივიზიონში გადაბარგებას აპირებს.

ორი იქაური კლუბი, „ქოვენთრი“ და „ვესტ ჰემი“ შერის სიხარულით მიიღებს. პირველთა მენეჯერი, განთქმული პიტერ რიდი უკვე დალაპარაკებია მობერებულ მეგოლეს. მეორე მხრივ, მიმზიდველია „ვესტ ჰემის“ წინადადება: შერი ხომ სულით ხორცამდე ლონდონელია, კარიერა „მილუოლში“ დაუწყია, „ტოტენჰემში“ კი ორჯერ ჩარიცხულა სხვადასხვა დროს. თუმცა, ეგებ სწორედ ეს გახდეს მისი „ვესტ ჰემში“ არმისვლის მიზეზი, იქაურებს არ უყვართ ახლო მოქიშპის შინაურად მიღება.

ასეა თუ ისე, კვირის ბოლომდე გაირკვევა, რა გზას დაადგება ინგლისის ნაკრების ყოფილი წევრი.

ირაკლი გამყრელიძე

ზაურა და ჟორა

ბაქო და ერევანი ევროპაში

გუშინწინ დაიწყო პრესტიჟული ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშება და პირველი გოლიც „კაუნასის“ მცველმა დარიუს ჟუტაუტასმა გაიტანა

ჯერ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპია და ლიტველები მალტაში „სლიმას“ ეწვივნენ. პირველ ტაიმში დამხვდურებმაც და მიმხდურებმაც ერთმანეთის კართან ოხრად შექმნეს საგოლე მომენტები, მაგრამ მეკარეები ყოჩაღობდნენ.

ყველაზე რეალური მომენტი ვიადრიუს ბარავიარუსს ჰქონდა. კაუნასელმა ტაიმის მიწურულს საკმაოდ ახლოდან დაარტყა, მაგრამ მასპინძელთა ნიგერიელმა მეკარე მერფი აკანჯიმ იმარჯა.

ანგარიში მეორე ნახევრის დაწყებიდან თერთმეტ წუთში გაიხსნა. ჟუტაუტასმა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთზე მცველებს დაასწრო და თავით შეაგდო.

მალტელებს უმალვე შეეძლოთ გათანაბრება. დინჩიჩმა მანიონი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, თუმც კურსკისმა ივარგა.

17 წლის სომეხმა ედგარ მანუჩარიანმა საგოლედ ორჯერ მოიქნია

ლიტველები „სლიმას“ აშკარად სჯობდნენ და მეორე გოლიც მიითვალეს. ბეზიკორნოვასმა საჯარიმოში ჩაახვია ბურთი, ხოლო სანაჟევასმა თავით ზუსტად დაჰკრა.

ამის შემდეგ მეტოქეები განელდნენ და სასწაული თუ არ მოხდა, „კაუნასი“ მომდევნო ეტაპზე ითამაშებს, სადაც შვედური „იურგორდენი“ ელის.

სომხეთის ჩემპიონმა „პიუნიკმა“ მაკედონიაში „პობედას“ ორბურთიანი სხვაობით სძლია.

სტუმრებმა პირველივე ტაიმში მოითავეს საქმე, როცა 3:0 მოიგეს. შესვენებამდე წუთით ადრე „პიუნიკს“ კარენ ალექსანიანი გაუძევეს, თუმც გამარჯვება კაცნაკლულებმაც შეძლეს.

17 წლის ედგარ მანუჩარიანს მესამე წუთზევე შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ „პობედის“ მეკარე პანდევმა არ დაანება.

მოგვიანებით მანუჩარიანი მკრტიჩიანის პასით პანდევთან პირისპირ აღმოჩნდა და გაიტანა.

ამის შემდეგ 17 წლის ფორვარდმა საგოლე პასი ჟორა ჰოვანესიანს გაუჩარხა და მანაც მეორე შეაგდო.

მანუჩარიანმა ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე სომხები მესამედ გაახარა, მსაჯმა კი ალექსანიანს 45 წუთის ჩამთავრება არ აცალა და გააძევა.

ათკაცა „პიუნიკი“ დაცვაში ჩაჯდა, „პობედამ“ კი მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლო. ამ წყვილში გამარჯვებული დონეცკის „შახტარს“ ხვდება.

ტომას კანჩელსკისი და ლიტველები მალტელებს ცალი ფეხით გადაასტნენ

ბოსნიურმა „შიროკი ბრიაგმა“ „ნეფთჩისგან“ ბოლო წუთზე გაუშვა გოლი და ბაქოში ერთბურთიანი უპირატესობით ჩავა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში სახეირო ვერაფერი შექმნეს.

მწვრთნელმა ივო იშტუკმა შესვენების შემდეგ ნიკოლა იურჩიჩი შეუშვა მოედანზე და მან ნდობისთვის მადლობა გოლით გადაუხადა. ოღონდ მანამდე ერთი საგოლე პასი კამერუნელ თანაგუნდელ ტამპს გაუჩარხა.

აზერბაიჯანელთა ფორვარდმა ზაურ ტაგიზადემ კი ბოლო წუთზე მცველთა მოდუნებით რომ ისარგებლა, მაშინ გაქვითა ერთი ბურთი.

ვაჟა ხუციშვილი

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

CHAMPIONS LEAGUE | საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

სლიმა (მალტა) 0:2 **კაუნასი** (ლიტვა)
0:1 დ. ჟუტაუტასი (55), 0:2 სანაჟევასი (77)

პობედა (მაკედონია) 1:3 **პიუნიკი** (სომხეთი)
0:1 მანუჩარიანი (15), 0:2 ჰოვანესიანი (26), 0:3 მანუჩარიანი (40), 1:3 გესოსკი (81)

შიროკი ბრიაგი (ბოსნია) 2:1 **ნეფთჩი** (აზერბაიჯანი)
1:0 ტაბია (69), 2:0 იურიჩიჩი (74), 2:1 ტაგიზადე (90)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილიელმა რონალდომ განაცხადა, რომ მადრიდის „რეალთან“ ახალ კონტრაქტს ხელს არ მოაწერს და, შესაბამისად, ამჟამინდელი ხელშეკრულების ამოწურვისთანავე, ანუ 2006 წელს გუნდიდან წავა

ათავისუფლე რონეგი

რონალდოს უთქვამს, „რეალიდან“ ორი წლის მერე წავალო

ეს ამბავი ქვეყანას მისმა აგენტმა, როდრიგო პავიამ მოსდო, ხოლო აგენტს ამ თემაზე ყურადღების გამახვილება იმიტომ დასჭირდა, რომ „რეალის“ ხელახლა არჩეულმა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა არჩევნების წინ განაცხადა, ბრაზილიელს კონტრაქტზე ხელს კიდევ ორი წლით მოვაწერინებო.

ასე და ამგვარად, აგენტ როდრიგო პავიას განცხადება იმას ნიშნავს, რომ, ხელშეკრულების თანახმად, რონალდო „რეალიდან“ გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის ზაფხულს წავა.

„მომავალში რონის თავისუფლება დასჭირდება — განუცხადა პავიამ ბრაზილიურ სააგენტო „სტადაოს“ — იგი ახალ გუნდზე მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იფიქრებს“.

საინტერესოა ისიც, რაც სხვა წყაროებიდან გახდა ცნობილი: რონალდო „რეალში“ ყოფნის ვადის შემცირებას არ აპირებს და დარჩენილ ორ წელიწადს მადრიდში ბოლომდე ამოწურავს. ორი წლის შემდეგ რონალდო 29 წლის იქნება და მასზე ჯერ კიდევ ძალიან დიდი მოთხოვნილება არ შენელდება, მაგრამ, აბა, „რეალსაც“ ჰკითხეთ! ნუთუ მადრიდელებს ხელს აძლევთ რონალდოს ორი წლით დატოვება და შემდეგ მისი თავისუფალი აგენტის სტატუსით უკაპიკოდ გაშვება? თუ ასეა, განა მათ ბრაზილიელის სარფიანად გაყიდვა 2005 წლის ბოლოს არ ურჩევნიათ?

პაპუნა კედია

ბუნდესნაკრები

Otti Hitz Daum Bauer

დიდი შანსია, გერმანიის ნაკრების მომდევნო მწვრთნელი უცხოელი იყოს. ამის თაობაზე თვით ფრანც ბეკენბაუერმა თქვა და, მოგეხსენებათ, კაიზერ ფრანცის სიტყვას რამხელა ფასიც აქვს. აქვე აღვნიშნოთ, რომ ბეკენბაუერი იმ კომისიის თავმჯდომარეა, რომელმაც გერმანიის საფეხბურთო კავშირის დავალებით ნაკრების მწვრთნელი უნდა შეარჩიოს.

„სამუშაო გეგმა მზად გვაქვს — უთხრა ბეკენბაუერმა „ბილდს“ — ანუ განსაზღვრული გვაქვს ის კრიტერიუმები, რომლებსაც მწვრთნელობის კანდიდატი უნდა აკმყოფილებდეს. შესაძლოა, კანდიდატურები ამ კვირაშივე დავასახელოთ“. ერთადერთი, რაც უკვე დაზუსტებით შეიძლება ითქვას, ის არის, რომ ბუნდესნაკრებს ოტო რეჰაგელი არ ჩაიბარებს. ხოლო თუ ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი დაუნიშნეს, ეს გერმანული ფეხბურთის ისტორიაში პირველი პრეცედენტი იქნება.

ამასობაში, „ბილდმა“ ბუნდესნაკრების მისტიკური მწვრთნელის ფოტო გამოაქვეყნა, რომელსაც ბეკენბაუერის თმა აქვს და მისნაირი სათვალე უკეთია, თვალები და ფეხები კრისტოფ დაუმისგან აქვს ნასესხები, ფიოლერისნაირი ულვაშები აქვს, ოტმარ ჰიცფელდის პალტო აცვია და რეჰაგელივით უსტვენს. ვინძლო „ბილდის“ რჩევა ბეკენბაუერის კომისიას გამოადგეს კიდეც.

ხოლო, როცა ადრე თუ გვიან, საქართველოს ნაკრებს დასჭირდება ახალი მწვრთნელი, ჩვენი ღრმა რწმენით, მას ჩივაძის ულვაში უნდა ჰქონდეს, ჟირესის სიმალლის უნდა იყოს, ღიპით ხურცილავას ჩამოჰგავდეს, ვარცხნილობა რევაზ არველაძის მოუხდებოდა, მშობლიურ ენაზე კი ძოძუაშვილივით უნდა მეტყველებდეს.

კოტე კეკელია

ფაბიო კაპელო ემერსონის გაჭიანურებულმა ტრანსფერმა აღრიალა

კაპელო გაბრაზებულია

დიდხანს გელოდოთ

„იუვენტუსის“ ახალმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ თავისი კლუბის შეფებს ბრაზილიელი ნახევარმცველის, ემერსონის საქმის ერთხელ და საბოლოოდ მოგვარება სთხოვა. ცნობილი ამბავია: ემერსონი და „ბებერი ქალბატონი“ ოთხწლიან თანამშრომლობაზე გარიგდნენ, მაგრამ ტურინელებმა და ემერსონის ყოფილმა გუნდმა, „რომამ“ სატრანსფერო თანხასთან დაკავშირებით ვერ გამონახეს საერთო ენა.

„მე არ ვიცი, რა არის საჭირო ამ საქმის მოსაგვარებლად — განაცხადა კაპელომ — მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ ემერსონი დროულად ჩამოვა, რაც გუნდისთვისაც ძალიან კარგია და თავად ფეხბურთელისთვისაც“.

აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელიც ძალიან მოწადინებულია, მისი ტრანსფერის ამბავს ბოლოს და ბოლოს მართლაც რომ დაადგეს საშველი. იგი გუშინწინ „რომას“ საწვრთნელ შეკრებაზე არ გამოცხადდა, კლუბში ექიმის ცნობა აფრინა, რომ შექმნილი ვითარების გამო დათრგუნულია და ბოლოს განაცხადა, რომ თუ „რომა“ არ გაყიდის, ბრაზილიაში წავა და იქ დაისვენებს მთელი სეზონის განმავლობაში. ერთი სიტყვით, თუ სხვას არა, არც თქვენო.

ამასობაში „იუვენტუსმა“ მეორე ამხნაგური თამაში ჩაატარა. ამჯერად მისი მეტოქე იყო „ალესანდრია“, რომელსაც „ბებერმა ქალბატონმა“ 5:0 მოუგო. გოლები ახალწვეულებმა ჯორჯო კიელინიმ და ოლივიე კაპომ, აგრეთვე ალესიო ტაკინარდიმ, რუბენ ოლივეირამ და მარსელო ზალაიეტამ გაიტანეს.

„გვარიანად დატვირთული ვარჯიშის შემდეგ გუნდმა ისე ითამაშა, რომ კმაყოფილი დავრჩი. ვფიქრობ, „იუვენტუსი“ ძველებურად გამარჯვების გზაზე შედგება“ — დასძინა ბოლოს კაპელომ.

პაპუნა კედია

ჩვენი ალბერტო ჩვენთან

რომამ ვარჯიში დაიწყო

„რომას“ ახალი მწვრთნელი, ჩეზარე პრანდელი ადასტურებს, რომ სერია A-ს მოახლოებული სეზონის წინ ჩინებულ გუნებაზეა და მომავალს იმედით უყურებს.

ამასთან, მოგეხსენებათ, პრანდელი და „რომა“ „პარმას“ ახალგაზრდა და ძალიან მოდური თავდამსხმელის, ალბერტო ჯილარდინოს შესაძენად არიან მოწადინებულნი და თუ ეს შეძლეს, მათ ოპტიმიზმს ალბათ, ორმაგი ძალა მიეცემა. სხვა ამბავია, (თუ არ იტყუებიან), ჯილარდინოსთვის „იუვენტუსი“, „რეალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედიც“ რომ იბრძვიან.



ჩეზარე პრანდელი იმედიანადაა

თუმცა პრანდელი დარწმუნებულია, ახალგაზრდა თავდამსხმელს ყველა გზა რომში მიიყვანს.

„ბოლოს და ბოლოს, ბოლო სიტყვა თავად ფეხბურთელმა უნდა თქვას — იმედოვნებს მწვრთნელი, — მისი ყიდვა ბევრს კლუბს უნდა, თუმცა მას ძალიან მკაფიოდ აქვს ნათქვამი, რომ „რომაში“ სურს გადმოსვლა. აქ ჩვენ პრობლემა არ გვაქვს. მას შეუძლია მარკო დელვეკიოსა და ვინჩენცო მონტელასთან ერთად გაილაღოს შეტევაში და გოლები შეყაროს“.

ამის შემდეგ „რომას“ შეფმა სხვა სამომავლო გეგმებზეც ილაპარაკა:

„ჩვენი ფილოსოფია ის გახლავთ, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებისგან ორგანიზებული გუნდი შევქმნათ. მოწადინებულნი ვართ და საკუთარ თავს სულ მეტს და მეტს მოვთხოვთ. „რომაში“ სადღეისოდ ჩინებულ ფეხბურთელთა ჯგუფი გვყავს და აშკარად საიმედო ჩემპიონატსაც ველით“.

პაპუნა კედია



ჯარლო ანჩელოტი ანდრეა პირლოს: კარგი იქნება, ოლიმპიადაზე თუ არ წახვალ

კარლოს და პირლოს საქმე

იტალიაში მორიგი დაპირისპირებაა: ნაკრები კლუბის წინააღმდეგ. ამჯერად ტრადიციულმა პრობლემამ „მილანის“ ნახევარმცველის, ანდრეა პირლოს გამო წამოჭყო თავი. საქმე ისაა, რომ იტალიის ოლიმპიურ გუნდს პირლოს ათენში, ოლიმპიურ თამაშებზე წაყვანა სურს, „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი კი ფეხბურთელის გაშვებას, როგორც ჩანს, არ აპირებს.

„საბოლოოდ ყველაფერი თავად პირლოს გადასაწყვეტია და მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ — ბრძანა ანჩელოტიმ — მე პირადად, აშკარად მირჩევნია, რომ ის საბერძნეთში არ წავიდეს. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 21 აგვისტოს ტრიპოლიში იტალიის სუპერთასზე „ლაციოს“ ვხვდებით და როგორც ვხედავ, იმ შეხვედრის ჩატარება შესაძლოა, ჩვენი წამყვანი ნახევარმცველების, პირლოსა და კლარენს ზეედორფის გარეშე მოგვიწევს. ზეედორფმა, იცით, ახლახან ოპერაცია გაიკეთა“.

ანჩელოტის ამ სიტყვებმა კი იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჯანი პეტრუჩის მოუშალა ნერვები.

„პირლო ოლიმპიადაზე რომ არ წამოვიდეს, ძალიან გამიკვირდება. ლიგა და ფეხბურთის ფედერაცია ხომ მაიმედებდნენ, რომ ათენში უძლიერეს შემადგენლობას გავამგზავრებდით. იმ ხუთმა მოთამაშემ, რომლებიც წინასწარ დავასახელეთ — პირლო, პელიცოლი, ფერარი, ნატალი და ბარონე — ოლიმპიადაზე მონაწილეობაზე უარი არ უნდა თქვას“.

საინტერესოა, რომ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ადრიანო გალიანინმ, რომელიც, მოგეხსენებათ, იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტიცაა, შექმნილ სიტუაციას თავი ასე აარიდა:

„ამ ვითარებასთან საერთო არაფერი მაქვს. აქ ყველაფერი მწვრთნელმა და მოთამაშემ უნდა გაარკვიონ და მოაგვარონ“.

პაპუნა კედია

პრაპის ჯინდათ ძაკი?

ალბერტო ძაკერონიმ განაცხადა, რომ შესაძლოა, ახალ სეზონში არსადაც არ იმუშაოს, ანუ, უბრალოდ, დაისვენოს.

შეგახსენებთ, რომ ძაკერონიმ ცოტა ხნის წინ მილანის „ინტერი“ დატოვა — იქ მის შემცვლელად „ლაციოდან“ რობერტო მანჩინი მიიყვანეს — რის შემდეგაც თითქოს პორტუგალიურ „ბენფიკას“ და „ფიორენტინას“ დაუკავშირეს მისი სახელი, მაგრამ ესეც ტყუილი გამოდგა: „ბენფიკას“ სხვა იტალიელი, ჯოვანი ტრაპატონი ჩაუდგა სათავეში, ხოლო ფლორენციაში ემილიანო მონდონიკო მივიდა.

ალბერტო ძაკერონი

„შინ დავჯდები — განაცხადა „უდინეზეს“, „მილანის“, „ლაციოს“ და ზემოხსენებული „ინტერის“ ყოფილმა შეფმა — ამ მომენტისთვის ყველა გუნდს თავისი მწვრთნელი ჰყავს. რაც შეეხება რომელიმეს ხელმძღვანელად 2004-05 წლების სეზონის შუაში მისვლას, ამას ფიქრადაც არ გავივლებ. სხვა საქმე იქნებოდა, „ინტერს“ დროულად რომ ეთქვა, ჩემთან თანამშრომლობას თუ აღარ აპირებდა, მაგრამ ახლა ფაქტის წინაშე ვდგავარ და ახალი სამსახურის ძებნა გვიანია“.

პაპუნა კედია



ჩევა ჩადის მონაკოში

ახალგაზრდა ურუგვაელი თავდამსხმელი ხავიერ ერნესტო ჩევანტონი ძალიან ახლოს არის „მონაკოში“ გადასვლასთან. ეს განცხადება, არც მეტი, არც ნაკლები, ჩევანტონის ახლანდელი გუნდისგან, იტალიურ „ლეჩესგან“ გავრცელდა. „ლეჩემ“ თავის საინტერნეტო გვერდზე დაწერა: „გარიგება, ფაქტობრივად, შედგა, ახლა რამდენიმე დეტალია შესათანხმებელი“.

მოგეხსენებათ, 23 წლის ურუგვაელი გასულ სეზონში 19 გოლით სერია A-ს მეოთხე ბომბარდირი გახდა, რაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ „ლეჩეში“ გამოდიოდა, ძალიან დიდი შედეგია. შემდეგ მის სახელს სერია A-ში ახალაღზევებულ „პალერმოს“ უკავშირებდნენ.

სწრაფი დრიბლიორი სტანდარტული სიტუაციების დიდოსტატიცაა. ის „ლეჩეში“ 2001 წელს ურუგვაული „დანუბიოდან“ გადავიდა და პირველსავე სეზონში 11 გოლი შეაგდო.

პაპუნა კედია

გასრულდა ესე ამბავი...

როგორც იქნა: პრესპო მილანში გადავიდა

დიახ, ყველაფერს ბეჭედი გუშინ დაესვა. 29 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა ერნან კრესპომ ლონდონური „ჩელსი" ოფიციალურად მიატოვა და დიდი ხნის შესვენების შემდეგ, კვლავაც კარლო ანჩელოტისთან ერთად იმუშავებს. კვლავაც ერთად იმიტომ, რომ „მილანის" ახლანდელი მწვრთნელი არგენტინელს 98-99 წლების სეზონში „პარმაში" ამეცადინებდა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ იტალიის ჩემპიონი „მილანი" ახალი სეზონისთვის მეოთხე ფორვარდის ძებნაში იყო გამალებული: ანდრეი შევჩენკოს, ფილიპო ინძაგის და იონ დალ ტომასონს კიდევ ერთი კონკურენტუნარიანი თავდამსხმელი სჭირდებაო.

ამასობაში, კი „ჩელსის" მწვრთნელად პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუ დაინიშნა. უეფას და ჩემპიონთა თასების მომგებმა მაურინიუმ ლონდონში ჩასვლისთანავე ეს განაცხადა — ჩემს გუნდში კრესპოს ადგილს ვერ ვხედავო.

ნავთზე ცეცხლი კი მაშინ დაესხა, როცა არგენტინელი „ჩელსის" პირველსავე ვარჯიშზე არ გამოცხადდა. მერე „სანმა" დაწერა, კრესპომ მაურინიუს ბოდიში მესიჯით გაუგზავნაო და აბა, მწვრთნელს ეს მოთაფლავდა?

ჰოდა, გაისმა აქა-იქ, რომან აბრამოვიჩს შარშან, ფორვარდის საცვლოდ — „ინტერიდან" რომ გადმოიბირა, მაშინ — იმდენი ფული აქვს გადახდილი, სარფიანად თუ გაყიდისო.

არ გაუყიდია, კრესპო „მილანს" ერთი წლით უფასოდ ათხოვა, კონტრაქტის შემდეგომ გამოსყიდვის პრინციპით, ოღონდ „როსონერის" უთხრა, მისი წლიური ხელფასი 3,2 მილიონი ევრო, თქვენ გადააუხადეთო.

ასეა თუ ისე, ბოლო ხანს ყბადაღებული ტრანსფერი შედგა, ადრიანო გალიანი, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ყაბულსაა, კრესპოს ის ხელფასი გადაუხადოს, რაც ზემოთ დავწერეთ.

და რას ამბობენ „შავ-წითელი" თავდამსხმელები? შევჩენკომ, ინძაგიმ და ტომასონმა თითქოს და პირი შეკრესო, ერთხმად თქვეს: გაუმარჯოს ერნანს, კეთილი იყოს მისი მობრძანება ჩვენს კომპანიაში.

ერნან კრესპოს მედიას დღეს წარუდგენენ, მაისურასაც ვია ტურატზე, „მილანის" ოფისში გადასცემენ. 15 ივლისს კი „როსონერი" ახალი სეზონისთვის იწყებს მზადებას.

გიორგი ვაშაკიძე



მანიშე, მანიშე, სურვილი გვანიშნე

რეალსა და დეპორტივოს არც ბარსელონა ჩამორჩა

კატალონიური „ბარსელონა" „ინტერში" გადასულ ედგარ დავიდსის შემცვლელის ძებნაშია და იპოვა კიდეც — ნუნუ რიკარდუ ოლივეირა, იგივე მანიშე.

მისი „კამპ ნოუზე" ჩაყვანა ძალიან კი სურთ კატალონიელებს, მაგრამ „პორტუს" არ ვეკითხებით? ჰოდა, ესპანური პრესის ცნობით, „ბარსას" ასეთი ხერხისთვის მიუგნია:

მოკლედ, პრეზიდენტ ხუან ლაპორტას ბრაზილიური „სან პაულუსგან" თავდამსხმელი ლუის ფაბიანო თურმე უკვე უყიდია და 22 წლის ბრაზილიელს სწორედ „პორტუში" აგზავნის იჯარით, რათა... მანიშე წაიყვანოს.

იმავე მედიის მტკიცებით, ლუის ფაბიანოს პორტუგალიაში წასვლაზე თანხმობა უკვე განუცხადებია, ამიტომაც ახლა მხარეები თურმე „ბარსას" მიერ „პორტუსთვის" მანიშეში გადასახდელი თანხის შესახებ მსჯელობენ...

ერთი სიტყვით, ძალიან ჩახლართული ვითარებაა არა?

ჩვენ კი ის გავიხსენოთ, თუ ვინაა ნუნუ რიკარდუ ოლივეირა ანუ მანიშე, რომლის შეძენაც მადრიდის „რეალს" და „დეპორტივოსაც" სურთ.

„პორტუს" და ქვეყნის ნაკრების მუშა, საყრდენი ნახევარმცველი, რომელმა გასულ სეზონში „პორტუსთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ახლახან გასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე კი ვიცე-ჩემპიონობას დასჯერდა.

ლადო ხოფერია

ნიკოს მამა

ხორვატიის ნაკრების ახალი მწვრთნელი, ზლატკო კრანიჩარი ამბობს, რომ შემტევი გუნდის შექმნას აპირებს. კრანიჩარი 47 წლისაა. მან სამშაბათს ევრო 2004-ზე ნაადრევად დამარცხებული ოტო ბარიჩი შეცვალა. ზაგრების „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციას ორი წლით შეეკრა.

„ევროპის ჩემპიონატმა დაგვარწმუნა, რომ შემტევი სტილი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება და ჩემი მიზანიც სწორედ ეს იქნება — განუცხადა კრანიჩარმა სააგენტო „ჰინას" — მე ფეხბურთელებისგან შემოქმედებისა და ტაქტიკური დისციპლინის ნაზავს მოვითხოვ".

აღსანიშნავია, რომ ბარიჩი ხორვატულმა პრესამ სწორედ დაცვისადმი ზედმეტი ერთგულების გამო გააკრიტიკა, ჟურნალისტები ბრაზობდნენ, რომ დაცვითი სისტემის გამო მის ხელში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ვერ მოხვდა ეროვნულ გუნდში.

18 აგვისტოს ამხანაგურ შეხვედრაში ხორვატები ისრაელს ხვდებიან, შემდეგ კი, 4 სექტემბერს, უნგრეთთან თამაშით მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს იწყებენ. უნგრეთის გარდა ჯგუფში მეტოქეებად ჰყავთ შვედეთი, ბულგარეთი, ისლანდია და მალტა.

„მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერმოხვედრა ძალიან უსიამოვნო იქნება. მეორე მხრივ, ჩვენი ჯგუფი ძალიან ძლიერია და გარდა ამისა, ევრო 2004-მა დაგვანახა, რომ სუსტი გუნდები აღარ არსებობენ" — თქვა კრანიჩარმა, რომელიც ერთერთ უპირველეს ნაბიჯად იმას გააკეთებს, რომ ნაკრებში ზაგრების „დინამოს" 20 წლის გამთამაშებელ თავის ვაჟს, ნიკოს მიიწვევს.

ცხადია, კრანიჩარი ამბობს, რომ პრივილეგიით ვერც ნიკო ისარგებლებს და ვერც სხვა.

რაც შეეხება „ლივერპულის" მცველს, იგორ ბიშკანს, მან ფეხი დაჰკრა და ნაკრებიდან წავიდა, რაზეც ახალი მწვრთნელი ასე ამბობს:

„მე არაფერ შუაში ვარ, მან თავად გადაწყვიტა ნაკრების დატოვება. ახლა ჩვენ დაბრუნება რომ ვთხოვოთ, ავტორიტეტსაც დავკარგავთ და არც იმის გარანტია გვექნება, რომ ბიშკანი ერთხელ ჩადენილს არ გაიმეორებს".

ბაბუნა კედია

უკრაინული „შახტარი" ახალი ჩემპიონატისთვის მნიშვნელოვნად გაძლიერდა. დონეცკელებმა ხუთი ახალი ფეხბურთელი გადაიბირეს. მათი ბოლო შენაძენი ჩეხეთის ნაკრების მცველი ტომაშ ჰუბშმანი იყო. მანამდე კი „შახტარში" ჰუბშმანის თანამემამულე, მეკარე იან ლაშტუვკა, ყოფილი ბრუშელი ფრანსელინო მატუზალემი და რუმინეთის ნაკრების ფეხბურთელები — კოზმინ ბარკაუანი და ჟოაო ბაჭისტა ჩაირიცხნენ. ხუთივე ახალწვეული გუშინ მედიის და ქომაგების წინაშე მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ წარადგინა. უკრაინის ჩემპიონატი კი დღეს იწყება.

იტალიური „რომას" ნახევარმცველი დამიანო ტომაზი შესაძლოა მოსკოვის „სპარტაკში" აღმოჩნდეს. მოსკოველთა წარმომადგენლები ტომაზის „ტრიგორიის" საწვრთნელ ბაზაზე შეხვდნენ და საკმაოდ ხელსაყრელი პირობებიც შესთავაზეს. ფეხბურთელით ლონდონური „ტოტენჰემი" და კატალონიური „ბარსელონაც" იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ მათი წარმომადგენლების თქმით, ტომაზი ძალიან დიდ ჯამაგირს ითხოვდა.

საბერძნეთის ნაკრების კაპიტანი და ევრო 2004-ის საუკეთესო ფეხბურთელი თეოდოროს ზაგორაკისი თავისუფალი აგენტი გახდა. მან ბოლო 4 წელი ათენის აეკ-ში გაატარა. ახლა კლუბი გაკოტრების ზღვარზეა და უამრავი ვალი დაუგროვდა. მარტო ზაგორაკისისა 660 ათასი ევროა, მაგრამ ფეხბურთელი თურმე ანგარიშს უწევს აწ უკვე ყოფილი კლუბის მდგომარეობას და თანხის ნახევარზეც ყაბულსაა. მისი გადაბირება ფრანგულ, ესპანურ, იტალიურ და გერმანულ კლუბებს სურთ. ყველაზე მეტად კი „ბოლონია" აქტიურობს.

ბრაზილიელი დენილსონი ესპანეთის ჩემპიონატის საწყის ტურებს გამოტოვებს. სევილიური „ბეტისის" ექიმების თქმით, ნახევარმცველი მარჯვენა მუხლზე ოპერაციას საჭიროებს და დაახლოებით ორთვენახევარი ბურთს ველარ გაეკარება. პრიმერადივიზიონი სტარტს აგვისტოს ბოლოს აიღებს.

იტალიური „რომას" ბრაზილიელი ნახევარმცველი ფრანსისკო ლიმა მოსკოვშია და „ლოკომოტივთან" აწარმოებს მოლაპარაკებას. „ლიმა სამედიცინო შემოწმების გასავლელად და კონტრაქტის პირობების მოსაგვარებლად ჩამოვიდა" — თქვა რკინიგზელთა ტექნიკურმა დირექტორმა ჰასან ბიჯიევმა. კონტრაქტის პირობები და სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით უცნობია.

რუსულმა „სპარტაკმა" ჩეხეთის ნაკრების ფეხბურთელ მარტინ ჟირანეკს კონტრაქტი გუშინ გაუფორმა. 25 წლის ფეხბურთელი ბოლო ოთხი წლის მანძილზე იტალიური „რეჯინას" ღირსებას იცავდა. ჯერჯერობით, კონტრაქტის დეტალებზე არაფერია ცნობილი. ჟირანეკი ახალ კლუბთან ვარჯიშს გუშინვე შეუდგა.

იტალიურ „იუვენტუსს" მასიმო ოდოსა და ფაბიო კანავაროს გადაბირება სწადია და დიდი შანსია, ეს ორივე მცველი თვის ბოლოს უკვე „ბებერი ქალბატონის" რიგებში ვიხილოთ. მთავარი პრობლემა კანავაროს ხელფასია: „ინტერში" იგი წლიურად 3,2 მილიონ ევროს იჯიბავს, „იუვე" კი ძალიან იშვიათად უხდის ასეთ ხელფასებს თავის მოთამაშეებს.

ინგლისურმა „არსენალმა" ესპანელი მეკარე მანუელ ალმუნია გადაბირა. „მეთოფეებმა" გოლკიპერი „ალბასეტეს" წაჰგვარეს. „მას დიდი ხანი ვაკვირდებოდით, ჩვენი სკაუტი შარშანდელ სეზონში მის თამაშს მუდმივად ადევნებდა თვალს. დამარწმუნეს, რომ მეკარე ნიჭიერია. იმედი მაქვს, ალმუნია თავის კლასს „ჰაიბერიზეც" გვიჩვენებს" — განაცხადა „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა. ხოლო, თუ რა თანხა გადაუხადეს ლონდონელებმა ესპანელებს ტრანსფერში, უცნობია.

იტალიელმა ნახევარმცველმა მასიმო ამბროზინიმ წუხელ „მილანთან" ხელშეკრულება კიდევ ერთი წლით გააგრძელა და „სან სიროზეც" 2006 წლის 30 ივნისამდე დარჩება. 27 წლის ამბროზინის გადაბირება ერთ ხანს მადრიდის „რეალსაც" სურდა, მაგრამ საქმე ლაპარაკის დონეზე მეტად წინ არ წასულა. „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი და მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ფეხბურთელის სურვილს საქციელს სიხარულით შეხვდნენ, ანჩელოტი ამბროზინის სულაც შეპირებია, ძირითადში ხშირად გათამაშებო.

გერმანულმა „ჰერტამ" გუშინ ქომაგებს ბრაზილიელი ახალწვეული ჟილბერტო წარუდგინა. მისი სრული სახელი და გვარია ჟილბერტო და სილვა მელო, იგი 28 წლისაა და ამჟამად ნახევარმცველია. „ჰერტაში" გადასვლამდე ბრაზილიური „სან კაეტანოს" ღირსებას იცავდა. ბერლინელთა გენერალური მენეჯერი დიტერ ჰაინესი ტრანსფერით აღფრთოვანებულია, მან ჯიბიდან ჟილბერტოს სანაცვლოდ სულ რაღაც 1.5 მილიონი ევრო გაიღო.

იტალიური „ლაციოს" მეკარე ანჯელო პერუციმ განაცხადა, მიუხედავად გუნდში არსებული არასახარბიელო ფინანსური ვითარებისა, „ბიანკოჩელესტეს" მიტოვებას არ ვაპირებო. „რა თქმა უნდა, ვიცი გუნდში რაც ხდება, მაგრამ „ლაციო" ყველამ თუ დავტოვეთ, ვინღამ ითამაშოს?" — დასძინა პერუციმ. შეგახსენებთ, რომაული კლუბიდან უკვე აიბარგნენ ლიდერები: კაპიტანი ჯუზეპე ფავალი, იაპ სტამი, სტეფანო ფიორე, ბერნარდო კორადი, ფრანჩესკო კოლონნეზე და მთავარი, მწვრთნელი რობერტო მანჩინი. ამბობენ, გუნდიდან ბრაზილიელი გარემარბი სეზარიც წავაო, მას „ინტერი" ეპატიჟება.

ხორვატმა მარიო სტანიჩმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა. 32 წლის ნახევარმცველი მუხლის ქრონიკულმა ტრავმებმა დატანჯეს. სტანიჩმა, როგორც ჩანს, წამებას ველარ გაუძლო და ლონდონური „ჩელსის" უფროსობას ხელშეკრულების დარღვევა თავდვე სთხოვა. გეტყვით, რომ მარიო სტანიჩი სწორედ ის უკანასკნელი მოჰიკანია, იმ თაობის ხორვატიის ნაკრებიდან, რომლებმაც 1998 წლის საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

სარბიელი და კროკო

ფარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვეიცარია						
		სუპერლიგა. I ტური						
		17 ივლისი						
21.30	182	შაფჰაუზენი-ქსამაქსი	2,15	3,1	3,2	1,26	1,28	1,57
21.30	183	სტ.გალენი-იანგ ბოიზი	2,45	3,1	2,6	1,36	1,26	1,41
21.30	184	გრასჰოპერი-ციურიხი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
21.30	185	თუნი-სერვეტი	2,3	3,1	2,9	1,32	1,28	1,49
21.30	186	ბაზელი-აარაუ	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
		შვედეთი. ალსვენსკა. XII ტური						
		15 ივლისი						
21.00	190	აიკ-გიოტებორგი	2,45	3,1	2,6	1,36	1,26	1,41
		შვედეთი. სუპერეტა. XIV ტური						
		18 ივლისი						
18.00	198	ვესტეროსი-ბოდენსი	1,85	3,4	3,4	1,19	1,19	1,7
20.00	199	ფალკენბერგი-ატვიდაბერგი	2,8	3,2	2,25	1,49	1,24	1,32
20.00	200	გაის-გევლე	1,95	3,3	3,3	1,22	1,22	1,65
20.00	201	იოსტერსი-ენჩიოპინგი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94
		ნორვეგია. I დივიზიონი. XVII ტური						
		18 ივლისი						
20.00	203	ალესუნდი-სკეიდი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
20.00	204	ბრინი-ჰიოდი	1,55	4,0	4,6	1,11	1,15	2,13
20.00	205	ჰიონეფოსი-ჰორს გრენლანდი	1,65	3,8	4,0	1,15	1,16	1,94
20.00	206	კონგსვინგერი-სტრიომსგოდსეტი	2,4	3,6	2,3	1,44	1,17	1,4
20.00	207	მოსი-ჰაუგესუნდი	1,75	3,8	3,4	1,19	1,15	1,79
20.00	208	სანდეფიორდი-ტრომსდალენი	1,15	6,0	10,0	1	1,03	3,75
20.00	209	ვარდ ჰაუგესუნდი-რაუფოსი	2,35	3,6	2,35	1,42	1,17	1,42
21.00	210	სტარტი-მანდალი	1,5	4,0	5,0	1,09	1,15	2,22
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XIV ტური						
		15 ივლისი						
19.00	214	მიუპა-კტპ	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
19.30	215	ტპ 47-ლაჰტი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
19.30	216	იარო-ტამპერე	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23
		უკრაინა. პრემიერლიგა. I ტური						
		15 ივლისი						
16.00	259	დნიპრო-მეტალისტი	1,2	5,0	9,0	1	1,05	3,21
16.00	260	მეტალურგი-ობოლონი	1,3	4,0	8,0	1	1,11	2,66
16.00	261	ვოლინი-ტავრია	1,55	3,3	5,6	1,05	1,21	2,07
16.00	262	ვორსკლა-არსენალი	2,0	2,9	3,5	1,18	1,27	1,58
16.00	263	ბორისფენი-ზაპოროჟიე	2,3	2,7	3,1	1,24	1,32	1,44
16.00	264	ჩერნომორეცი-კრივბასი	1,45	3,5	6,5	1,02	1,18	2,27
16.00	265	დინამო-შახტარი	1,95	3,0	3,5	1,18	1,25	1,61

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		უეფას თასი						
		15 ივლისი						
18.00	321	შირაკი-შერიფი	2,15	3,2	2,9	1,28	1,23	1,52
19.00	322	თბილისი-შამქირი	1,4	4,0	6,0	1,03	1,13	2,4
19.00	323	ეკრანასი-დუდელანჟი	1,2	5,0	9,0	1	1,05	3,21
19.00	324	ბ.ბისტრიცა-ყარაბახი	1,2	5,0	9,0	1	1,05	3,21
19.30	325	ბატე-დინამო(თბ)	1,8	3,3	3,4	1,16	1,17	1,67
20.00	326	ჰაკა-ეტცელა	1,05	6,5	15,0	1	1	4,53
20.00	327	ლევადია-ბოჰემიანი	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
20.00	328	ნისტრუ-სოლიგორსკი	1,9	3,3	3,4	1,2	1,21	1,67
20.00	329	პარტიზანი(ტირ)-ბირკირკარა	1,4	4,0	6,0	1,03	1,13	2,4
20.30	330	ილიჩოვეცი-ბანანცი	1,3	4,0	8,0	1	1,11	2,66
21.00	331	ომონია-სლოგა	1,55	3,5	4,6	1,07	1,15	1,98
21.00	332	იოსტერსი-ტნს	1,4	3,8	6,0	1,02	1,13	2,32
21.00	333	ოცელული-დინამო(ტირ)	1,45	3,8	5,3	1,04	1,13	2,21
21.15	334	სანტა კოლომა-მოდრიცა	8,0	4,6	1,25	2,92	1,08	1
21.30	335	ვადუცი-ლონგფორდი	1,7	3,3	4,2	1,12	1,21	1,84
22.00	336	სილექსი-მარიბორი	2,8	3,1	2,25	1,47	1,24	1,3
22.00	337	ბ 36-ლიეპაია	4,4	3,4	1,65	1,91	1,2	1,11
22.00	338	ბ 68-ვენტსპილსი	5,6	3,6	1,45	2,19	1,15	1,03
22.00	339	მარსაქსლოკი-პრიმორიე	5,0	3,6	1,5	2,09	1,15	1,05
22.00	340	პორტადაუნი-ჟალგირისი	2,6	3,2	2,3	1,43	1,22	1,33
22.30	341	ჰავერფორდვესტი-ჰაფნარფიორდური	2,25	3,2	2,7	1,32	1,22	1,46
22.45	342	პენაროლსა-ჟელეზნიჩარი	11,0	5,6	1,12	3,71	1,01	1
23.00	343	გლენტორანი-ალიანსი	3,0	3,1	2,15	1,52	1,25	1,26
23.15	344	აკრანესი-ტალინი	1,55	3,5	5,0	1,07	1,18	2,05

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10

42 00 24

+%

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კალათბურთის თამაშში დავიჩაგრეთ

პრობლემა: მწვრთნელი და ყველაფერი

გუშინ ქართველ ჭაბუკებს ჯგუფიდან გასვლის უკანასკნელი შანსი წაერთვათ. თუმცა რაღა შანსი, სერბებთან 20-ქულიანი გამარჯვება სჭირდებოდათ, 37-ით კი დამარცხდნენ. ასე რომ, ქართველები ჯგუფში ჩარჩნენ და ახლა მეცხრე-მეთორმეტე ადგილებისთვის მოუწევთ ბრძოლა დანარჩენ უიღბლოებთან. სერბებთან განადგურების შემდეგ საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ მოთამაშეებთან აღიარა, სათანადოდ მომზადებულნი არ ვიყავით, წარუმატებლობა სავსებით ლოგიკურიაო...

— დღეს ჩვენმა მწვრთნელებმა აღიარეს, სათანადოდ მომზადებულები არ ვიყავით ასეთი მაღალი დონის ტურნირისთვის, ამიტომაც წავაგეთო — გვითხრა ჩვენი ნაკრების ფორვარდმა **დავით საყვარელიძემ**, სარაგოსაში რომ შევეხმიანეთ.

— ფიზიკურად იყავით მოუმზადებელნი?

— არ დაუკონკრეტებიათ, მაგრამ რა მიხვედრა უნდა, ყველაფერში მოუმზადებლები ვიყავით. აგერ, სერბებთან უკანასკნელი შანსი გვქონდა და იმაზე მეტით დავმარცხდით, რამდენით მოგებაც გვჭირდებოდა.

— საერთოდ არ გქონიათ შანსი?

— სერბები 20 ქულით უნდა დაგვემარცხებინა, გასვლის რეალური კანდიდატები რომ გავმხდარიყავით. დავუშვათ, მოგვეგო სასუროველი ანგარიშით, ლატვიასაც უნდა წაეგო და გავდიოდით, თუმცა 20 ქულით მოგება, სერბებმა აქეთ გაგვანადგურეს. მხოლოდ პირველ მეოთხედში ვებრძოლეთ, მერე კი შანსი აღარ გვქონია.

— მწვრთნელებმა კი აღიარეს, რომ მოუმზადებლები იყავით, მაგრამ შენი აზრით, კონკრეტულად მაინც რაში დაიჩაგრეთ?

— დავიჩაგრეთ მთავარში — კალათბურთის თამაშში. ის არაა გადამწყვეტი, რამდენი ინდივიდუალისტი გყავს გუნდში — მთავარია, შეკრული, გაზრდული კალათბურთი ითამაშო, რაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ.

— თუ ეგრე სავალალოდ იყო საქმე, ლატვიას როგორღა მოუგეთ?

— ლატვიას ჩვენსავით ცენტრის პრობლემა აწუხებდა და ამიტომ ვაჯობეთ. ბალტიისპირელთა ლიდერი ანდრეს ბიედრინსი დრაფტზე აიყვანეს და სარაგოსაში არ ჩამოსულა. მთავარი მოთამაშის გარეშე დარჩენილი ლატვიელები უმეტესად ინდივიდუალურად ცდილობდნენ ფონს გასვლას და ამაში ვაჯობეთ სწორედ. ხოლო დანარჩენ განდებთან, რომლებიც გუნდურ კალათბურთს თამაშობდნენ, შანსი არ გვქონია. დღეს ინდივიდუალურად აღარავინ თამაშობს...

— რა სჭირდება ახლა თქვენს გუნდს, შედეგს რომ მიაღწიოს?

— ამ გუნდს აღარ მოუწევს ჭაბუკთა ტურნირებში თამაში. მომავალი წლიდან უკვე ახალგაზრდულ, 20-წლამდელთა ჩემპიონატზე გამოვალთ. თუ ასეთივე ტაქტიკით ანუ ერთი კომბინაციით გავაგრძელებთ თამაშს, ხეირს არც მომავალში უნდა ველოდოთ. პირველ რიგში მწვრთნელი გვჭირდება, რომელიც თავისი მიზანმიმართული ტაქტიკით თითოეულ მოთამაშეს შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოვლენაში დაეხმარება. არადა, ცალ-ცალკე რომ ავიღოთ, თუ ყველაზე ძლიერი არა, არავისზე ნაკლები შემადგენლობა არ გვყავს, მაგრამ რად გინდა, არეულ კალათბურთს ვთამაშობთ.

— ახლა მე-9 ადგილისთვის თუღა იბრძოლებთ...

— ჩემი ნება რომ იყოს, სულ არ ვითამაშებდი ამ „სანუგეშო“ მატჩებს. რა აზრი აქვს, მეცხრე ადგილზე გახვალ თუ მეთორმეტეზე? თუმცა ბოლო ადგილი მართლაც სამარცხვინოა და ამიტომაც გავაგრძელებთ ბრძოლას.

ირაკლი პერტაია

ნიკა ცქიტიშვილმა გუშინწინ რიხით დაიწყო ლასვეგასური საზაფხულო ლიგა. „დენვერი“ სამდღიანი კემპის პირველ მატჩში „ბოსტონ სელტიქსს“ შეხვდა და 103:111 დამარცხდა. დენვერელებს ცქიტიშვილმა ულიდერა, რომელმაც 35 წუთში 27 ქულა მოიმკა, მაგრამ გამარჯვებას ეს არ ეყო. ისიც სათქმელია, რომ ლასვეგასურ ლიგაზე „დენვერში“ არვინაა ცნობილი კალათბურთელი გარდა ერთის — ფრანციკო ელსონისა, ვინც „სკიტას“ 17 ქულით მიეშველა. ამ კემპის დაწყებამდე „დენვერ პოსტის“ ჟურნალისტმა ადამ ტომპსონმა ცქიტიშვილზე ეს სტატია დაწერა...

დროა, თამაში დავიწყო

ცქიტიშვილი ვარჯიშს შეეშვა

ნბა-ში 2 წელი ყოფნით ნიკოლოზ ცქიტიშვილს ისეთიც არაფერი გაუკეთებია, მისი ფანები რომ აღეფრთოვანებინა. თუმც იყო გამონაკლისიც — შარშან ნათამაშები საზაფხულო ლიგები.



ყველაზე ბეჯითად ცქიტიშვილმა შარშან ლონგბიჩურ კემპზე ითამაშა, სადაც მატჩში საშუალოდ 20 ქულასა და 7,5 მოხსნაც იხვეჭდა.

თუ ცქიტიშვილი ოდესმე ასეთი თამაშის ჩვენებას ნბა-შიც აპირებს, ლას ვეგასისა და სოლტ ლეიკ სიტის კარსმომდგარ კემპებზეც არანაკლებ შედეგიანი უნდა იყოს. არადა, პროფესიულ დონეზე მას საშუალოდ მხოლოდ 3,5 ქულა მოუგროვებია ორი სეზონის მანძილზე.

„მხოლოდ იმას ვცდილობ, რომ თვითრწმენა დავიბრუნო — ამბობს ცქიტიშვილი — დაივიწყეთ ვარჯიშები. მე უკვე კარგა ხანია, თითქმის მთელი სიცოცხლე, მუხლჩაუხრელად ვვარჯიშობ, ახლა იმის დრო მოვიდა, მოედანზე ყოფნა დავიმსახურო. მე ახლა ბევრად ძლიერი, ჯანიანი და სწრაფი ვარ, ვიდრე ოდესმე ვიყავი. დროა, თამაშიც დავწყო.“

ცქიტიშვილი შარშან მხოლოდ 39 მატჩში გავიდა მოედანზე, თუმც არც მაშინ აკლდა ის, რასაც ახლა ფლობს. ის მესამე სეზონს იწყებს „დენვერში“ და უკვე დროა, პრეზიდენტი დაფიქრდეს, გამოიყენოს თუ არა თავისი გუნდის უფლება ცქიტიშვილის მეოთხე წლითაც დატოვების შესახებ.

„გუნდის ხელმძღვანელობისგან ზეწოლას არ განვიცდი. მე უკვე მესამე წელია, აქ ვარ. ასე რომ, თავს მშვიდად და შინაურულად ვგრძნობ. მე ვიცი, როგორ უნდა ითამაშო ისე, რომ საზაფხულო ლიგაზე თავი არ შეირცხვინო.“

ცქიტიშვილის ესეთი ლაპარაკი თითქოს ბაქიბუქსა ჰგავს, მაგრამ აგერ, ლასვეგასური კემპი და „სელტიკისთვის“ ჩადგებული 27 ქულა.

$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$$

ნბა და ფულები

სახელფასო ფონდები 30 000-ით შეივსო

გუშინწინ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის უფროსობამ სახელფასო ფონდის ახალი ოდენობა დაადგინა თითოეული კლუბისთვის. ის, არაა ბევრით მეტი წინა სეზონთან შედარებით, მაგრამ ზოგადად მაინც ძალიან ბევრია — 43,87 მილიონი დოლარი.

ესაა ყველაზე დიდი წლიური ბიუჯეტი, რაც ნბა-ს შეფებს ოდესმე დაუდგენიათ კლუბებისთვის. შარშან ეს თანხა 43,84 მილიონს შეადგენდა, მაგრამ სულ რაღაც 7 წლის წინ ის „მხოლოდ“ 26,9 მილიონით განისაზღვრებოდა. ანუ ბოლო 7 წელიწადში 57 პროცენტით გაიზარდა გუნდების ბიუჯეტი. თუ 1997 წელს ნბა-ს კლუბებს მთლიანობაში მილიარდი დოლარი ჰქონდათ გამოყოფილი, წლეულს ეს თანხა მილიარდ 57 მილიონს შეადგენს.

სახელფასო ფონდის გაზრდა მოხდა კალათბურთელთა ასოციაციის ინიციატივით, რომელიც ნბა-ს მოთამაშეთა ერთგული და გავლენიანი დამცველი ორგანიზაცია გახლავთ.

ნახსენები მილიარდნახევარი ყველა გუნდზე თანაბრად განაწილდება ერთი გამონაკლისის გარდა. წლეულს ფეხადგმულ „შარლოტ ბობქეტსს“ წესით ყველაზე მეტი დახმარება ესაჭიროებოდა, მაგრამ მომავალ სეზონში მთლიანობაში 29,25 მილიონზე მეტს ვერ გადაუხდის თავის კალათბურთელებს.

ირაკლი პერტაია

მინესოტამ ბაზრობა დაამთავრა



დასავლეთ კონფერენციის ვიცეჩემპიონ „მინესოტა ტიმბერვულვზს“ თავისუფალ აგენტთა ბაზარზე ბევრი არ უტრიალია. გუნდი მშვენივრადაა დაკომპლექტებული და ვიცეპრეზიდენტის კევინ მაკჰეილის მთავარ საზრუნავი ძველების შენარჩუნება იყო. რაც მთავარია, გუნდმა დაიტოვა საკუთარი თავისუფალი აგენტებიდან ყველაზე საჭირო ტროი ჰადრსონი. 186-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი დათანხმდა, „მინესოტაში“ კიდევ ექვსი წელი დარჩეს, ხოლო კლუბი მას ამ ხნის განმავლობაში 37 მილიონ დოლარს ჩაუთვლის.

კადეტები დაქვეითდნენ

საქართველოს კადეტთა ნაკრებმა გუშინ ლატვიელ თანატოლებთან 79:84 წააგო და ვერ მოხვდა ევროპის ჩემპიონატის 14 საუკეთესოს შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი 16-წლამდელები მომავალი წლიდან B დივიზიონში დაქვეითდებიან და ევროპის ჩემპიონატს რამდენიმე წლით დაემშვიდობებიან.

ქართველებმა რიგიანად კი დაიწყეს ლატვიასთან მატჩი და პირველი მეოთხედი 20:19 მოიგეს, მაგრამ მეორეში 6:25 შერცხვნენ და თამაში ფაქტობრივად წინასწარ დათმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადით, დიდებს ეთამაშეთ!
ახალგაზრდა წყალბურთელებმა ვარშავაში ყველა გაასწორეს

გუშინ გამთენიისას ვარშავიდან პოლონეთის პრეზიდენტის პრიზით დაბრუნდნენ საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელები. როგორც ვიუწყებოდით, მათ ამ წარმატებას იქაურ საერთაშორისო ტურნირში ყველა მეტოქის ძლევით მიაღწიეს. ჩვენმა წყალბურთელებმა იქვე დაიმსახურეს ტურნირის საუკეთესო მეკარისა და ბომბარდირისთვის განკუთვნილი პრიზები. ყოველივე ამასთან დაკავშირებით შევხვდით და ვესაუბრეთ გუნდის უფროს მწვრთნელს სოსო მაისურაძეს

— სამ-ოთხ წელიწადს ველოდით ამ დროს, როცა თანატოლებთან მოგვიწევდა ბრძოლები. აქამდე ჩვენს ბიჭებს გაცილებით უფროსებთან უხდებოდათ შეხვედრები, თუმცა, სექტემბერში ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე ისევ ერთი-ორი წლით უფროსებთან მოგვიწევს ურთიერთობების გარკვევა. ვარშავის ტურნირზე ჩვენი გამოსვლაც სწორედ სასექტემბროდ უკეთ მოსამზადებლად გვჭირდებოდა.

— უკვე ვიცით იმ გუნდების ვინაობა, რომლებსაც მოუგეთ, მაგრამ საინტერესო იქნება ამ გამარჯვებათა დეტალებზე საუბარი...

— პირველად გერმანელებს ვძლიეთ 12:8. ანგარიში თავიდანვე ჩვენ წავიყვანეთ და 3:0 ვიგებდით, მაგრამ ხომ იცით ქართველების ამბავი, დაწინაურების მერე ბიჭებმა ყურადღება მოადუნეს და ანგარიში 4:4 გახდა. ამის მერე ისევ მთელი ძალით დაიწყეს თამაში და ბოლო ხუთ წუთამდე უკვე 12:6 იგებდნენ. ამის მერე აუზში მთლიანად მეორე შემადგენლობა ჩავუშვი და ამ დროს გერმანელებმა ანგარიშში სხვაობა მხოლოდ ორი ბურთით შეამცირეს.

ჩვენი მეტოქეები ვარშავაში გერმანიის დიდი, ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ხელმძღვანელობით ჩამოვიდნენ. ჩვენთან დამარცხებას, მით უმეტეს ასეთი სხვაობით, ეტყობა არ ელოდა და კაცი ლამის გაცოფდა. არ ვიცი, ამის ბრალი იყო თუ რა მოხდა, მაგრამ მერე გერმანელებმა ჯავრი შვედებზე იყარეს, რომლებსაც ასტრონომიული ანგარიშით მოუგეს — 29:4.

ჩვენი მომდევნო მეტოქეები მასპინძლები იყვნენ. ორი პერიოდის მერე ზედ ღია აუზის თავზე ისეთი საშინელი ჭექა-ქუხილი და გრგვინვა ატყდა, რომ მოთამაშეებიც კი ზეცას ასცქეროდნენ. ტურნირის ორგანიზატორებიც შეშინდნენ, მეხი შიგ აუზში არ ჩაუვარდეთო, შეხვედრა შეაწყვეტინეს და მეორე დღისთვის გადაიტანეს. ეს მათთვის შანსიც იყო, რადგან პოლონელები ჩვენთან იმ დროისთვის 1:5 აგებდნენ. ასე იყო თუ ისე, მეორე დილით დანიშნული ეს შეხვედრა 11:4 მოვიგეთ და მერე შვედებსაც 16:2 ვძლიეთ. ბოლოს იყო ბელარუსებთან და ბულგარელებთან მატჩები, რომლებიც ერთნაირი ანგარიშით — 15:6 მოვიგეთ.

— ბექა ქენქაძეს ბომბარდირობაში ყველაზე მეტი მეტოქეობა ვინ გაუწია?

— ბექამ 16 ბურთი გაიტანა, მართალი რომ გითხრათ, ამ მხრივ უცხოთაგან მას მეტოქეობას ვინ უწევდა, არ ვიცი, რადგან ასეთი არ დაუსახელებიათ. თანაგუნდელთაგან კი მას 2 ბურთით ჩამორჩა გიორგი ცირეკიძე.

— ჩვენი კარის დარაჯზე რას იტყვით, რომელმაც საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილი პრიზი დაიმსახურა?

— ჩვენი ორი მეკარიდან პრიზი ერთმა — თორნიკე თოდაძემ მოიპოვა თუმცა, ამაში წვლილი მეორე მეკარემ სანდრო ნამორაძემაც დაიდო. საქმე ის იყო, რომ საუკეთესო მეკარე ყველა თამაშის ჯამით ვლინდებოდა, იმას კი მნიშვნელობა არ ჰქონდა, კარში ვინ იდგა. ნამორაძემ მშვენივრად დაიწყო თამაში, ორი პენალტიც მოიგერია, მაგრამ მერე გაცივდა და ავად გავიხდა. ავად სხვებიც გახდნენ, ამიტომ მასთან ერთად ბოლო სამ მატჩში ველარ ითამაშა გუნდის კაპიტანმა ზურაბ რურუამ, გურამ კოტარიამ და ნოდარ რაფავამ.

— კი მაგრამ, რა მოხდა, ერთბაშად ამდენი ხალხი ავად რამ გახადა?

— აუზში ძალიან ცივი წყალი იყო და გაცივდნენ.

— თქვენი მეტოქეებიც ასე ბლომად დაზარალდნენ?

— არა, მხოლოდ ჩვენი ბიჭები გაცივდნენ. ამ მხრივ სუსტები გამოვდექით.

— ნამორაძე, ცირეკიძე ნოდარ რაფავა... მათი გვარები აქამდე არც გაგვიგია.

— დიახ, ისინი ნაკრების დებიუტანტები იყვნენ. მათ გარდა, დებიუტი ჰქონდათ გიორგი სტურუას, არჩილ მურვანიშვილს და ვასილ ლუტიძეს.

— მერე, გამოცდა როგორ ჩააბარეს?

— ნამორაძეზე უკვე გითხარით და სხვებმაც, დებიუტანტების კვალობაზე, კარგად ითამაშეს. უკლებლივ ყველა პირველივე თამაშიდან გამოვცალე. უკვე ხსენებულ წყალბურთელთა გარდა, აგრეთვე ითამაშეს გურამ კოტარიამ, გიორგი ხვედელიანმა, მიხეილ ბალათურიამ, გიორგი ბიბილეიშვილმა, ტატო ნიკოლეიშვილმა და გიორგი კილურაძემ.

— მათ შორის რატომ არ იყო მოსკოვის გუნდებში მოთამაშე სამი ლეგიონერი?

— ისინი ამ ასაკს ცოტა გადაცილებულები არიან, მაგრამ ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე შემოგვიერთდებიან.

თორნიკე თოდაძე და ბექა ქენქაძე

— ვარშავაში რაკი ასეთი უპირატესობით მოიგეთ შეხვედრები, მსაჯობაზე პრეტენზიები ალბათ არც გექნებათ.

— მსაჯობა მართლაც ძალზე ობიექტური გამოდგა და სხვაგვარად არც გამოვიდოდა. საქმე ის იყო, რომ არბიტრებისთვის ეს ტურნირი საერთაშორისო კატეგორიის კვალიფიკაციის მისაღებად გამოცდა იყო და ისინიც მაქსიმალურად ობიექტურად სჯიდნენ შეხვედრებს. ტურნირის მთავარი მსაჯი ბელგიელი აბე ფუქსი იყო. ის ძალზე მკაცრი შემფასებელია და ამიტომ გვესიამოვნა, როცა ჩვენი გუნდი აქო და აქო. თქვენ აქ, ამ ტურნირზე რა გინდათ, დიდებთან უნდა ითამაშოთო.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ტურნირისთვის ჩვენ საგანგებოდ არ მოვმზადებულვართ. ეს ტურნირი, როგორც ვთქვი, ჩვენთვის ევროპის პირველობის ფინალური შეხვედრებისთვის ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი იყო. ასევე განვიხილავთ სტამბოლის ტურნირსაც, სადაც ძალზე რთული შეხვედრები გველის. უკვე ცნობილია, რომ იმ ტურნირს რატომღაც უკვე გამოაკლდნენ ამერიკისა და უნგრეთის გუნდები, თუმცა, ვინც დარჩნენ, ძალზე ძლიერები არიან, განსაკუთრებით ჩვენს ჯგუფში მოხვედრილი რუსები, სერბეთ-ჩერნოგორიელები და რუმინელები, მეორე ჯგუფში კი არიან ფრანგები, ეგვიპტელები, და თავად თურქები. ისინი ჩვენი ჯგუფის გუნდებს სიძლიერით ჩამორჩებიან.

ავთანდილ ჭყვიშელი

MERCEDES-BENZ CUP

ლოს ანჯელესი. ჰარდი. საპრიზო 380 ათასი $

პირველი წრე

ანდრე აგასი (1, აშშ) — ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:2, 6:3; **პარადორნ შრიჩაფანი** (2, ტაილანდი) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 7:6 (7:4); **მარდი ფიში** (3, აშშ) — იან ვაცეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:5), 6:2; **სხენგ შალკენი** (5, ჰოლანდია) — გრეგორი კარა (საფრანგეთი) 6:4, 6:4; **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) — ვინს სპედია (6, აშშ) 6:4, სპედიამ შეწყვიტა; **გრეგ რუზედსკი** (ბრიტანეთი) — ტაილორ დენტი (7, აშშ) 7:6 (9:7), 3:6, 6:2; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — რობი ჯინეპრი (8, აშშ) 6:4, 6:3; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:1, 7:5

ცოლზე ნაკლების...
აგასიმ რვაასამდე შეავსო

თითქოს ჩოგბურთის დიდების დარბაზში მეუღლის შტეფი გრაფის ალზევებას ელოდაო, 34 წლის არმენოამერიკელმა ანდრე აგასიმ ამ ამბიდან მეორე დღესვე კარიერის მერვაასე გამარჯვება ირგუნა.

არადა, საიუბილეო თამასას რვაგზის სლემტიტულოსანი ფაკირი უკვე მარტის შუა რიცხვებიდან იყო მიმდგარი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადალახა — ოთხ ტურნირზე პირველსავე წრეებში ჩაიფლავა, ხოლო უიმბლდონზე გამოსვლა სულაც მტკივანი ბარძაყის გამო ვერ შეძლო. მოკლედ — ეგ საქმე უკვე მომწიფებული იყო და მოწყდა კიდეც.

თანაც — ბედად — იმ დღეს მეტოქედ ალექს ბოგომოლოვი ჰყავდა, რომელსაც რამე ღირებული არც აქამდე მოუნაგრავს და ვერცთუ განთქმულ თვისტომს ჩაუშხამა ცოლის განდიდებით გამოწვეული სიხარული.

შედეგად — აგასი გახდა მეექვსე მეჩოგნე, ვინაც ღია პირველობათა ეპოქაში ანუ 1968 წლიდან დღემდე რვაას საეტიპიო მოგებას მოუკრა ჭიპი. წინა ხუთი ჯიმი კონორსი, ივან ლენდლი, გილერმო ვილასი, ჯონ მაკინროი და შტეფან ედბერგი იყვნენ.

ეს ის ხალხია, ვისთან ერთადაც ყოფნა მაგრად ასწორებსო, ხუმრობდა ანდრე: „შესაძლოა, მათ ამის გაკეთებას ჩემზე ორჯერ ნაკლები დრო მოანდომეს, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობა გეუფლება, როცა რაღაც ისეთის შესრულებას აზერხებ, მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებს რომ გამოსვლიათ.“

რაც შეეხება გავრცელებულ ჭორებს, თითქოს ის უახლოეს მომავალში ჩოგნის დედაბოძზე ჩამოკიდებას აპირებდეს, ანდრე აცხადებს, რომ ჯერ-ჯერობით არსად მიეჩქარება. „კარიერის დასრულებაზე არც მიფიქრია — თქვა მან — საერთოდ, არც მჩვევია მომავალზე ფიქრი, მე ყოველთვის დღევანდელი დღით, საამმომენტო ამოცანებითა და ამ ამოცანების გადაწყვეტაზე ფიქრით ვცხოვრობ.“

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ თავის პირველი გამარჯვება აგასიმ 1986 წელს ლა კინტას ტურნირზე, ჯონ ოსტინის ძლევით მოიხვეჭა. მაშინ ანდრანიკი 15 წლის ყურუმსალი იყო.

ლევან ქელაურაძე

მალიორკაზე დასვენება არ შეიძლება

საქართველოს შვიდეაცა შვიდეულისთვის ითამაშებს

ზაზა ქასაშვილი

ხვალ-ზეგ ესპანური მარგალიტი პალმა დე მალიორკა შვიდკაცა რაგბიში ევროპის ჩემპიონატს მიიღებს. 16 ევროპულ ნაკრებს შორის საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი მიანიჭეს, კენჭისყრაზე საუკეთესო ოთხეულში განთესეს და ჯგუფში პირველნომრობაც უბოძეს

ევროპირველობაზე ჩვენს შვიდკაცელებს აქამდე ორჯერ უთამაშიათ, თუმც ესპანური ჩემპიონატი გამორჩეულია. საუკეთესო შვიდეულში მოხვედრილები 2005 წლის ჰონკონგის მსოფლიოს პირველობის საგზურებს მოიპოვებენ.

საამისოდ ჯგუფში პირველ-მეორე ადგილზე გასვლაა აუცილებელი, რაც წესით ფავორიტად მიჩნეულ ბორჯღალოსნებს არ უნდა გაუჭირდეთ. ჩემპიონობისთვის კი ლეჟავას გუნდს ირლანდიის, პორტუგალიის, იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებებთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

ხვალ ჯგუფური შეხვედრები გაიმართება. ჩემპიონატს საქართველო — მოლდოვას მატჩი გახსნის. შემდეგ ქართველები უკრაინელებს დაუპირისპირდებიან, ბოლოს კი შოტლანდიელებს.

პალმა დე მალიორკამდე ბორჯღალოსნები წინასწარი გეგმით საფრანგეთში უნდა შეკრებილიყვნენ და რამდენიმედღიანი შეკრება გაევლოთ, მაგრამ გეგმა მხოლოდ სანახევროდ შესრულდა. ლეჟავამ ორლეანში მხოლოდ ხუთი ლეგიონერი ავარჯიშა. საქართველოში მოთამაშეები კი ნაკრებს გუშინღა შეუერთდნენ.

მწვრთნელთან დაკავშირება, სამწუხაროდ, ვერაფერი მოვახერხეთ და ევროპის ჩემპიონატისწინა ამბებზე საფრანგეთში მყოფ რაგბის კავშირის ვიცეპრეზიდენტსა და ევროპული შვიდკაცას თავკაც ზაზა ქასაშვილს დავეკითხეთ:

— ოფიციალურად, ქართული დელეგაციის წევრი არ ვარ და ესპანეთშიც მასთან ერთად არ მივემგზავრები. ნაკრები ჯერ არ მინახავს, თუმც ზაზა ლეჟავას ვესაუბრე და მითხრა, რომ მხოლოდ ნახევარი გუნდის ვარჯიში მოახერხა. სავიზო პრობლემების გამო საქართველოში მოთამაშეები საფრანგეთში შეკრების ბოლო დღესღა ჩამოვიდნენ.

— საბოლოო შემადგენლობა უკვე ცნობილია?

— საესპანეთოდ ათი კაცი შეიკრიბა. სამწუხაროდ, ვერ მოასწრო გამოჯანმრთელება ბადრი ხეხელაშვილმა. გრეგუარ იაშვილს საპატიო მიზეზი აქვს — კვირას დიმიტრის ქორწილია.

— როგორ გგონიათ, ევროპის ჩემპიონობაზე ფიქრი რეალურია?

— ერთადერთი, რამაც შეიძლება ხელი შეგვიშალოს, არასათანადო მომზადებაა. შანსებზე საუბარი ცოტა მიჭირს. არც ერთი არ გამიკვირდება, არც ჩემპიონობა და არც შვიდეულს მიღმა დარჩენა.

— ესე იგი, შეიძლება ჯგუფში მეორე ადგილის დაკავებაც გაგვიჭირდეს?

— წესით, ეს პრობლემა არ უნდა იყოს, მაგრამ მთელი რიგი ფაქტორები მაინც გასათვალისწინებელია. ვიცი, როგორ ემზადებიან მოლდოველები. შოტლანდიაზე აღარაფერს ვამბობ, უკრაინა კი მართალია, შედარებით სუსტია, მაგრამ სიურპრიზების შეთავაზება ყოველთვის შეუძლია.

— ჩემპიონობის მთავარი კანდიდატი ალბათ მაინც პორტუგალია იქნება, გუნდი რომელიც გადაულახავ ბარიერად გვექცა.

— ვერ ვიტყვი, რომ პორტუგალია გადაულახავი ბარიერია. უკრაინაში ადვილად კი მოგვიგო, მაგრამ ეს მთელი რიგი მიზეზების გამო მოხდა. თბილისური შვიდკაცას მოგების მერე ჩვენი ნაკრები გადაღლილი იყო, თან ცოტათი მოეშვა, არასათანადო მომზადებამაც თავისი ქნა და კიევური ფინალი თითქმის უბრძოლველად დავთმეთ. ასეთი რამ შვიდკაცაში ხშირად ხდება და ივივე ბევრ დიდ ნაკრებსაც დამართნია.

— როდის ჩავა ნაკრები ესპანეთში?

— დღეს სრული შემადგენლობა მოგროვდა, ხვალ დილით წავლენ, ზეგ კი ჩემპიონატიც იწყება.

— თავად როდის აპირებთ ჩასვლას?

— ჩემპიონატის დაწყების წინა დღეს ტულუზადან ფირა-ს პრეზიდენტთან ერთად სპეცრეისით გავემგზავრები, თან თუ მოვახერხე, ბიჭებსაც მოვინახულებ, ახალი მაისურები მინდა გადავცე.

ოთარ მაღლაკელიძე

ბადრი ხეხელაშვილის ფოტო

ძველი მოშვიდკაცე გია ლაბაძე კვლავაც ნაკრებშია

საქართველოს ნაკრები

ირაკლი აბუსერიძე
ბესიკ ხამაშურიძე
ირაკლი გიორგაძე
გია ლაბაძე
გიორგი კაჭარავა
თედო ზიბზიბაძე
ლაშა ფირფილაშვილი
ლექსო გუგავა
მახო ურჯუკაშვილი
აქვსენტი გიორგაძე

ოლიმპიურმა ცეცხლმა კანაფის პლანტაცია გადაწვა

ATHENS 2004

ოლიმპიური ცეცხლი, რომელიც ერთიანი და მშვიდობიანი მსოფლიოს სიმბოლოა, უკვე კრიმინალსაც ებრძვის.

კუნძულ კრეტაზე ჩირაღდანი თავის ჩვეულ მოგზაურობას განაგრძობდა და თან, როგორც ყოველთვის, საპატრულო ვერტმფრენები მიაცილებდნენ. ქალაქ რეთიმნონთან მიახლოებისას ერთ-ერთი ვერტმფრენიდან კანაფის უზარმაზარი პლანტაცია შენიშნეს და, ბუნებრივია, სამართალდამცავებიც უმალ იქ გაჩნდნენ.

რომ არა ოლიმპიური ცეცხლი, ვინ იცის, სხვა დროს როდის გადაუფრენდა ამ ადგილებს პოლიცია. ხმელეთზე კი, როგორც ჩანს, პლანტაციები კარგად არის შენიღბული. ჩატარდა გამოძიება და ახლომახლო მიდამოებში, რეთამნონთან და ჰერაკლიონთან, კიდევ რამდენიმე პლანტაცია აღმოაჩინეს.

ასე რომ, სანამ 13 აგვისტოს ათენის ოლიმპიურ სტადიონზე დაინთებოდეს, ოლიმპიურმა ცეცხლმა საზოგადოებისათვის ერთი სასარგებლო საქმე გააკეთა.

პლანტაციების პატრონს რა ბედი ეწია, არ ვიცით, მაგრამ ცხოვრებაში რომ ოლიმპიადის ყურების სურვილი აღარ გაუჩნდება, ეგ ნაღდია.

ლადო ფულუკიძე

ესღა აკლდათ

საბერძნეთში ჰრეესაც გაიფიცა

რამოდენიმე კვირის წინ საბერძნეთში მარათონელთათვის გზის დამგები გაიფიცნენ ხელფასის მომატების მოთხოვნით, ახლა კი მათ ჟურნალისტებმაც მიჰბაძეს. გუშინ და დღეს საბერძნეთში გაზეთს ვერ იყიდის კაცი. ვინაც ტელევიზიით ელის რაიმე ინფორმაციის გაგებას, იმედი მათაც გაუცრუვდებათ, რადგანაც არც ერთ არხზე საინფორმაციო გამოშვება არ გავა. ასეთი ინფორმაციული ვაკუუმი საბერძნეთში ხვალამდე გაგრძელდება.

ბერძნებს, რომელთაც ხან ხანძრები უჩნდებათ, ხან ელექტროენერგიის მიწოდება უწყდებათ და საცაა, სტადიონებიც დაენგრევათ თავზე, სრული ბედნიერებისათვის ესღა აკლდათ.

მათ ოლიმპიური თამაშები წესით 10 მილიარდი ევრო უნდა დასჯდომოდათ (რაც ქვეყნის ბიუჯეტის 7 პროცენტია), მაგრამ შეიძლება მთელი 5 მილიარდით მეტი დასჭირდეთ, ხოლო თუ სხვა სამსახურებსაც გაუჩნდათ გაფიცვის სურვილი, ეგებ ოლიმპიადამ საბერძნეთი აზარალოს კიდეც.

კროკერი რეკორდებს კვერცხებივით დებს



აშშ-ს ჩემპიონატზე ცურვაში, რომელიც ამავე დროს ათენის ოლიმპიადის შესარჩევ ეტაპსაც წარმოადგენს, იან კროკერმა თავისივე მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა — 100 მეტრი ბატერფლაის სტილით 50,76 წამში გაცურა. ადრინდელი რეკორდი კროკერმა 2003 წელს, ბარსელონას მსოფლიოს ჩემპიონატზე დაამყარა, მაშინ მან 50,98 წამი აჩვენა.

ავსტრალიას კაპიტანი გაუდიდეს

ავსტრალიელი „ვოლაბების“ მწვრთნელმა ედი ჯონსმა უკვე დაასახელა იმ გუნდის შემადგენლობა, რომელიც წლევანდელი 3 ერის თასის გათამაშების პირველ მატჩში ახალზელანდიელებს შეერკინება.

გუნდს გიგანტი მეორეხაზელი ნათან შარპი უკაპიტნებს, რომელიც ამ საპასუხისმგებლო პოსტზე ამასწინათ სამოა-ფიჯი-ტონგას ერთობლივ ნაკრებთან რკენაში დამტკვრეულ ჯორჯ გრეგანს შეცვლის.

„შარპი გუნდის ვიცე-კაპიტანი იყო და ვფიქრობ, მან დაიმსახურა პატივი, ჩვენს გუნდს გაუძღვეს“ — აცხადებს ჯონსი.

ნათან შარპს თავის დროზე ავსტრალიის 21-წლამდელთა ნაკრებისთვისაც უკაპიტნია.

აქვე გუნდის მთელ შემადგენლობასაც გაგაცნობთ:

ავსტრალია: 15 კრის ლათამი, 14 კლაიდ რეთბოუნი, 13 სტირლინგ მორტლოკი, 12 მეტ ჟიტო, 11 ლოუთ ტუქირი; 10 სტეფან ლარქემი, 9 კრის ვაიტეკერი; 8 დევიდ ლაიონზი, 7 ფილ ვუ, 6 რადიკე სამო, 5 ნათან შარპი (კაპ), 4 ჯასტინ ჰარისონი, 3 ალისტერ ბაქსტერი, 2 ბრენდან ქენონი, 1 ბილ იანგი

სათადარიგოები: 16 ჯერემი პოლი, 17 მეტ დანინგი, 18 დანიელ ვიკერმანი, 19 ჯორჯ სმიტი, 20 მეტ ჰენაააკი, 21 მეტიუ ბერკი, 22 ვენდელ სეილორი

ტურ დე ფრანსი 2004

ბასტილია ვირანკმაც აიღო

საფრანგეთს აღარ ჰყავს ჩემპიონები, მაგრამ სამაგიეროდ ჰყავს საუკეთესო მთიელი, ანუ მთის მეფე, როგორც მას ველორბოლაში უწოდებენ. რიშარ ვირანკი მგონი ველოსიპედზე დაიბადა და ტურზე დღენიადაგ მთის მეფის კუთვნილი წითელკოპლებიანი თეთრი მაისურა ეცვა. ახლა ცოტა მობერდა, 34 წლისაა და მისი არსებობაც მიივიწყეს, მისმა პელოტონმა უკვე ჩაიარაო, თქვეს, მაგრამ ვირანკმა ყველას შეახსენა თავი და თანაც ფრანგების ეროვნული დღესასწაულის დღეს — 14 ივლისს, რაიც მოგეხსენებათ ბასტილიის აღების თარიღი გახლავთ.



მეათე ეტაპი, რომელიც შუა საფრანგეთში, ლიმუზინის პროვინციაში გაიმართა, წლევანდელ ტურზე ყველაზე გრძელი გახლდათ. 237-კილომეტრიანმა ტრასამ ჰაერგაიშვიათებული უღელტეხილები არ გადაიარა, მაგრამ ვირანკსა და პელოტონს ცხრა მთა შემოხვდათ, ფრანგმა მთის მეფემ ყველა მათგანი სხვებზე უწინარესად გადალახა და მთელი გზა მის დაწევაზე მომუშავე ამხელა პელოტონს მთელი ხუთი წუთით და კიდევ მეტით მიასწრო. ვერც იან ულრიხმა, ვერც ლენს არმსტრონგმა და ვერც სხვა ფავორიტებმა ვერ გაბედეს მარტოხელა ბებერ მგელს გამოდევნებოდნენ. ოღონდ ვირანკი მთლად მარტო არ მიდიოდა მთელი გზა. თავიდან ის ლეგენდარული ჩემპიონის ედი მერქსის "ვაუ ელქს მერქსთან ერთად მოსწყდა ძირითად გუნდს, მაგრამ ამ ჯელს მამის მუხლები ვერა აქვს. ვერ გაუძლო ვირანკის ტემპს და ფინიშამდე დაახლოებით 65 კილომეტრით ადრე ჩამორჩა ფარნგს. ბოლო-ბოლო ის პელოტონმა ჩაყლაპა.

ვირანკი კი ბედნიერების მწვერვალზეა, ამბობს, ამ გაქცევად ღირდა მთელი წლევანდელი ტურიო და პენსიაზე გასვლაზეც ჩამოაგდო სიტყვა, ცოლი, შვილი და მათთან ტკბილი ცხოვრება მენატრება და ამ გამარჯვების შემდეგ, — მგონი არ შემეკამათებით და — ჩემთვის დასვენება ალალიცაარ. დასტურ ასეა. „ძალიან ადრეულად გავიჭერი და ბოლოში ძალიან გამიჭირდა, ლამის მავკედი, მაგრამ ახლა ბედნიერი ვარ — ამბობდა პოდიუმზე შამპანურის ყლუპით დარწყულებული ვირანკი — ხვალე. მთელი გზა ალბათ პელოტონში მომიწევს ყურყუტი. უკვე ასაკი მეტყობა და ასეთი სოლოგარღვევები ამაოდ არ ჩამივლის, მაგრამ დღევანდელი სიხარული მთელი ტური გამყვება, მერე კი ალბათ წასვლაზეც ვიფიქრებ. ოჯახში გავატარებ დროს, შვილს მოვეფერები, ერთი სიტყვით ჩამოვალ ველოსიპედიდან და უბრალოდ ვიცხოვრებ."

კოტე ყორღანია

მთებში მარტო გაჭრილ რიშარ ვირანკს მხოლოდ „ეშმაკი" გამოენთო

X ეტაპი. 14 ივლისი. ლიმოჟი — სენტ ფლური. 237 კმ

1 რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, ქუიქ სტეპი)	6სთ 24წმ
2 ანდრეას კლოედენი (გერმანია, ტი-მობაილი)	+5წთ 19წმ
3 ერიკ ცაბელი (გერმანია, ტი-მობაილი)	
4 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	
5 ტომას ვოკლერი (საფრანგეთი, ბრიშე ლა ბულანჟე)	
6 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი)	ყველა იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ტომას ვოკლერი (საფრანგეთი, ბრიშე ლა ბულანჟე)	42სთ 42წთ 14წმ
2 სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი)	+3წთ
3 სანდი საზარი (საფრანგეთი, FDJeux.com)	+4წთ 13წმ
4 რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, ქუიქ სტეპი)	+6წთ 52წმ
5 იაკობ პიილი (დანია, CSC)	+7წთ 31წმ
6 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი)	+9წთ 35წმ

მთავარია გაგება

ნჰლ თუ ჩაიჭრა, ვჰა ფულს გაჭრის

ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნჰლ-ის მორიგი სეზონი ჩაიშლება ან გადავადდება. ორი ჯვირაა, რაც ლიგაში თავისუფალ აგენტთა ბაზარი გაიხსნა, მაგრამ 200-ზე მეტი ჰოკეისტისგან მხოლოდ რამდენიმემ თუ შეძლო ახალი ჯონტრაქტის გაფორმება. თან ამ ილბლიანებზე ვერავინ იტყვის, ძლიერი მოთამაშეები არიანო

მხოლოდ ექსფილადელფიელ მარკ რეკის „პიტსბურგში" გადასვლაა აღსანიშნავი. მან 3-წლიანი და 9-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა, და ისიც იმიტომ, რომ მარიო ლემიეს დიდი მეგობარია და საერთოდ, თავის დროზე „პინგვინების" რიგებში მოთამაშე ფაორვარდს კარგი მოგონებები შემორჩა...

ჰოკეისტები, მათი აგენტები, კლუბები ძირითადად დუმან. მიზეზი ცნობილია — ლოკაუტი ანუ მოსალოდნელი გაფიცვა, რომელიც ოფიციალურად 15 სექტემბერს დაიწყება. ჯერჯერობით ლიგის მესვეურთა და მოთამაშეთა ასოციაციის ლიდერებს შორის მოლაპარაკებებში არანაირი წისნვლა არ შეიმჩნევა. ამიტომ არავინ იცის, როგორი იქნება ნჰლ-ის ახალი კანონები და შევა თუ არა ძალაში ეგრეთ წადებული „ჭერი" ანუ დაწესდება თუ არა თანხა, რომელზე მეტსაც კლუბები ველარ დახარჯავენ ჯამაგირისთვის. ჯერჯერობით ლიგა ზღვარად 31 მილიონს ასახელებს მაშინ, როცა ზოგიერთი გუნდის საგადასახადო უწყისში თანხა 70 მილიონს აღმატება. მოკლედ, ლიგა ჩიხში აღმოჩნდა, საიდანაც გამოსავალი არ ჩანს.



ბობი ჰალი

თითქოს ეს არ კმაროდა, კიდევ ერთი უბედურება დაემატა: „მოგეხსენებათ, შარშან წარსულში საზელოვანმა ჰოკეისტმა ბობი ჰალმა მსოფლიოს ჰოკეის ასოციაციის (WHA) აღდგენა განიზრახა. ეს ლიგა 70-იან წლებში ფუნქციონირებდა და მასში ბევრი ვარსკვლავი, მათ შორის თავად ჰალი ასპარეზობდა. თვით უეინ გრეცკმაც კი თავისი კარიერა ამ ლიგაში დაიწყო, მაგრამ ვჰა-მ კონკურენციას ვერ გაუძლო, 1997 წელს დაიშალა და მისი 4 გუნდი ნჰლ-ში შევიდა. თავდაპირველად ამ ლიგის აღდგენაზე საუბარი ყველას არარეალური ეგონა, მაგრამ ჰალი და მისი კომპანიონები სერიოზულად მიუდგნენ საქმეს და დღესდღეობით ბევრი რამ გაირკვა.

უკვე ცნობილია ლიგის 7 მონაწილე — „ორლანდო", „დეტროიტი", „დალასი", „ტორონტო", „კვებეკი", „ჰალიფაქსი" და „ჰამილტონი".

ერთ-ერთ გუნდს უკვე მეტსახელიც შეარქვეს — „ჰალიფაქსის ყინულმჭრელები". შეიძლება ლიგას კიდევ ერთი გუნდი შეემატოს, „ცინცინატი"

ვჰა 17-18 ივლისს დრაფტს ჩაატარებს. არ არის გამორიცხული, ამ ისტორიულ დღეებში ბევრმა გამოჩენილმა ნჰლ-ელმა მოირგოს ახალი ლიგის მაისურა. რა თქმა უნდა, ვჰა სრულ კონკურენციაც ვერ გაუძლებს თუნდაც იმიტომ, რომ დებულების თანახმად, სახელფასო ზღვარი 15 მილიონი დოლარია და შესაბამისად თითო გუნდს მხოლოდ ერთი, მაქსიმუმ ორი ვარსკვლავის შეძენა შეუძლია, მაგრამ შედარებით დაბალი ღირებულების მოთამაშეებს და ნორჩ ტალანტებს ნამდვილად მიეცემათ შესაძლებლობა, ახალი ლიგაში გამოცადონ თავიანთი ძალა.

„სან ხოსეს" დღეს ცხრა თავისუფალი აგენტი ჰყავს. ცხადია, ვეინან დამფუსს ვერ გავწვდებით (მისი ხელფასი 4 მილიონია), მაგრამ ნილს ეკმანს თუ სხვა მისგან მოთამაშეს სიამოვნებით მივიღებთ" — ამბობს ვჰა-ს ერთ-ერთი მესვეური პიტერ იანგი. ცხადია, მხოლოდ ეკმანზე და სხვა ასეთ მოთამაშეებზე დიდ ბიზნესს ვერ გაჩარხავ, ამიტომ ახალი ლიგის ფუძემდებლებმა ცბიერი სვლა გააკეთეს და ყველა გუნდს არენდის გზით ნჰლ-ის ვარსკვლავების გამოყენების საშუალება მიეცემა. მაგალითად, დღეს უკვე ღიად საუბრობენ ბობი ჰალის ვაჟიშვილის, ბრეტის და კრის ჩელიოსის მონაწილეობაზე. იმასაც ამბობენ, თავად წინა სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ, ტამპელმა მარტენ სან ლუიმაც გამოთქვა ვჰა-ს ერთ-ერთი გუნდში თამაშის სურვილი. ასე რომ, ლიგა დაიწყებს თავის ჩემპიონატს, ამნაირი ვარსკვლავების წყალობით თანდათან პოპულარულიც გახდება და თუ ლოკაუტი გაიწელა, ვინ იცის, ეგებ ზოგმა აღარც კი მოინდომოს ნჰლ-ში დაბრუნება.

თან ვჰა ყველანაირად ცდილობს, ჰოკეის ძველი ეშხი დაუბრუნოს, მიმზიდველი გახადოს. ამისთვის წესებში რადიკალურ ცვლილებები შეაქვს. მაგალითად, ოვერტაიმს სამი სამზე გამართვა (!), წითელი ხაზის გაუქმება და სხვა.

ბობი ჰალი და მისი კომპანია არ ხუმრობს და, თქვენ წარმოიდგინეთ, უკვე განუზრაზავს ნჰლ-ს უზარმაზარი ზიანი მიაყენოს. რამდენიმე წელია, მთელი კანადა ვუნდერკინდ სიდნი კროსბისე ლოცულობს. 17 წლის ნორჩი უკვე გრეცკის მემკვიდრედ შერაცხეს. ჰოდა, თურმე ასოციაცია კროსბის დრაფტზე დაყენებასაც აპირებს.

სამველ ღარიბიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ფინეთიდან

კვლავ მტრედები

მტრედები მაიკ ტაისონის ბავშვობის სიყვარულია. არიზონაში ბანაკად მყოფი მაიკი ლენი უილიამსთან საბრძოლველად ემზადება ფინიქსში, ფრინველები კი გუნებას უკეთებს. ძველი ჩემპიონის მორიგი კრივი 30 ივლისს ლუისვილში გაიმართება.

REUTERS სოჭიდან

უმცროსი

ვინ არ იცნობს უიმბლდონის მომგებ მარია შარაპოვას. მას კიდევ ცხრა წლის ბიძაშვილი დაშა შარაპოვა ჰყოლია, რომელიც ასევე ეუფლება ჩოგბურთის ანბანს და უკვე ტურნირებშიც მონაწილეობს. მას, ცხრა წლის პირობაზე, ცქიფინა ფორჩენდი და აკურატული ორი ხელით მოქნევა ჰქონია. ასევე, გვარიანი პირველი ჩაწოდებაც. აბა, დაველოდოთ.

მერსედეს ბენცზე

ლოს ანჯელესში, ვესტვუდის უბანში „მერსედეს ბენცის“ ტურნირი გახურდა. პირველივე რაუნდში ანდრე აგასი ალექს ბოგომოლოვს შეხვდა. საკვირველი არ არის, რომ აგასის ცოლი, შტეფი გრაფი გულშემატკივრობდა სამი წლის შვილ ჯადენ ჯილთან ერთად. იქვე იყვნენ მიჯნურნი, ანა კურნიკოვა და ენრიკე იგლესიასი, რომლებიც ერთმანეთის მიმართ სახალხოდ აფრქვევდნენ სითბოს.



ოლიმპიური პოლაპი

უკვე გამოჩნდა ოლიმპიური სიმბოლიკა იაპონურ აპარატურაზე. „კოდაკმა“ შეზღუდული ტირაჟით გამოუშვა სახალხო ციფრული ფოტოკამერა, რომელიც ორშაბათიდან 277 დოლარად გაიყიდება. ხუთასი აპარატი თავად იაპონიის ოლიმპიურ დელეგაციას დაურიგდება.



REUTERS ტოკიოდან

ახალბედა წახდა

ახალბედაა ვეისი ფინკბეინერი და ახალბედურიც დაემართა. კალგარიში გახურებულ როდეოზე სავალდებულო რვა წამი ვერ გაძლო ხარის ზურგზე და კოვბოითა განთქმულ „კალგარი სტემპედსაც“ გამოეთიშა.

REUTERS კალგარიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge